დამტკიცებულია შპს „პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემიის“
და ა(ა)იპ „ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის“
რექტორების 2023 წლის N5 ბრძანებით

ა(ა)იპ ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტისა და შპს პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემიის „გამოყენებითი საზოგადოებრივი ჯანმრთელობის“ ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი

თავი I. ზოგადი დებულებები

მუხლი 1. რეგულირების სფერო

1.1 წინამდებარე წესი განსაზღვრავს ა(ა)იპ „ჯიპა-საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის“ (შემდგომში - უნივერსიტეტი) და შპს პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემიის (შემდგომ - „აკადემია“) (შემდგომში ორივე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ერთად მოიხსნება როგორც პარტნიორი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები/პარტნიორი უსდ-ები) „გამოყენებითი საზოგადოებრივი ჯანმრთელობის“ ერთობლივი საგანმანათლებლო სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტის, მობილობის, სტუდენტის შეფასების სისტემას, სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარების წესებს, სტუდენტის მიღწევების შეფასების პროცედურას, ერთობლივი სამაგისტრო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების და მასში შემდგომი ცვლილებების განხორციელების და სასწავლო პროცესის ადმინისტრირებასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს.

1.2 წინამდებარე წესი შემუშავებული და დამტკიცებულია „გამოყენებითი საზოგადოებრივი ჯანმრთელობის “ერთობლივი საგანმანათლებლო სამაგისტრო პროგრამის აკადემიურია საბჭოს მიერ, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის, მათ შორის „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონისა და პარტნიორი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები შორის 2021 წლის 25 ივნისს გაფორმებული „გამოყენებითი საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ“ ხელშეკრულების შესაბამისად, და შესასრულებლად სავალდებულოა სასწავლო პროცესის ყველა მონაწილისათვის.

1.3 წინამდებარე წესში შემდგომი ცვლილებებისა და დამატებების შეტანაზე უფლებამოსილ ორგანოს წარმოადგენს გამოყენებითი საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ერთობლივი საგანმანათლებლო სამაგისტრო პროგრამის აკადემიურია საბჭო (შემდგომში ერთობლივი სამაგისტრო პროგრამის აკადემიური საბჭო/აკადემიური საბჭო).

თავი II. სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტისა და მობილობის წესები

მუხლი 2. მაგისტრანტის მიღების წესი

2.1 პარტნიორი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ ორგანიზებულ გამოყენებითი საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ერთობლივ უმაღლეს საგანმანათლებლო სამაგისტრო პროგრამაზე (შემდგომში - ერთობლივი სამაგისტრო პროგრამა/საგანმანათლებლო პროგრამა) სწავლის გაგრძელების უფლება აქვთ იმ კანდიდატებს, რომლებიც „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონისა და „სამაგისტრო გამოცდების ჩატარების დებულებისა და სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის განაწილების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 22 აპრილის N227 ბრძანებით დადგენილი წესით წარმატებით ჩააბარეს საერთო სამაგისტრო გამოცდა და წარმატებით გაიარეს ერთობლივი სამაგისტრო პროგრამის შიგნით ორგანიზებული მისაღები პროცედურები.

2.2 ერთობლივი სამაგისტრო პროგრამაზე სწავლის გაგრძელებით დაინტერესებული მაგისტრანტობის კანდიდატი ვალდებულია ჩააბაროს გამოცდა შესაბამის სპეციალობაში, რომლის შინაარს, ჩატარების ფორმასა და მინიმალური კომპეტენციის ზღვარს ადგენს აკადემიური საბჭო. ამავე საბჭოს გადაწყვეტილებით, ასევე შესაძლებელია დადგინდეს დამატებითი გამოცდა ინგლისურ ენაში ან/და სხვა დამატებით საგანში.

2.3 მაგისტრანტობის კანდიდატი ერთობლივი სამაგისტრო პროგრამის აკადემიური საბჭოს მიერ განსაზღვრულ გამოცდაში/გამოცდებში მონაწილეობის უფლებას მოიპოვებს იმ შემთხვევაში, თუ ის საერთო სამაგისტრო გამოცდის ტესტის ოთხი ნაწილიდან რომელიმე სამ ნაწილში მაინც გადალახავს კანონმდებლობით დადგენილ მინიმალურ ზღვარს. (ერთობლივი სამაგისტრო პროგრამის აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით შესაძლებელია დადგინდეს წინამდებარე პუნქტისგან განსხვავებული პირობა).

2.4 სპეციალობის საგანში, ან/და სხვა დამატებით საგანში ჩასატარებელ გამოცდას (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ორგანიზებას უწევს აკადემია.

2.5 სპეციალობის საგანში, ან/და სხვა დამატებით საგანში ჩასატარებელ გამოცდის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) შეფასებას, აკადემიური საბჭოს თავმჯდომარის გადაწყვეტილებით, ახორციელებს ამავე საბჭოს წევრ(ებ)ი ან მოწვეული სპეციალისტი.

2.6 საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველი მაგისტრანტობის კანდიდატი, სპეციალობის შესაბამისი გამოცდის, ასევე ინგლისური ენის, ან სხვა დამატებით საგანში გამოცდის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) წარმატებით გავლის შემდეგ, ვალდებულია გაიაროს გასაუბრება მიმღებ კომისიასთან.

2.7 მიმღები კომისიის შემადგენლობა განსაზღვრება ერთობლივი სამაგისტრო პროგრამის აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე.

2.8 მაგისტრანტების ის კანდიდატები, რომლებიც საერთო სამაგისტრო გამოცდისა და ერთობლივი სამაგისტრო პროგრამის შიგნით ორგანიზებულ შიდა გამოცდას/გამოცდებსა და მიმღებ კომისიასთან გასაუბრებას გაივლიან წარმატებით, უფლებას მოიპოვებენ სწავლა გააგრძელონ ერთობლივი სამაგისტრო პროგრამაზე.

2.9 ერთობლივი სამაგისტრო პროგრამის აკადემიური საბჭოს მიერ განსაზღვრული შიდა გამოცდის/გამოცდების/გასაუბრების ჩაბარების/გავლის მიზნით, მაგისტრანტობის კანდიდატთა რეგისტრაცია მიმდინარეობს აკადემიის და უნივერსიტეტის რექტორების ერთობლივი ბრძანებით განსაზღვრული წესით და დადგენილ ვადაში. მაგისტრანტობის კანდიდატთა რეგისტრაციის პერიოდის ხანგრძლივობა არ შეიძლება იყოს მაგისტრანტობის კანდიდატთა რეგისტრაციის თაობაზე ბრძანების გამოცემიდან 5 კალენდარულ დღეზე ნაკლები.

2.10 ერთობლივი სამაგისტრო პროგრამის შიგნით ორგანიზებულ შიდა გამოცდის/გამოცდების და მიმღებ კომისიასთან გასაუბრების შედეგების გამოქვეყნებას საკუთარ ვებგვერდზე ორგანიზებას უწევს აკადემია.

2.11 იმ მაგისტრანტობის კანდიდატებს, რომლებიც არ ეთანხმებიან ერთობლივი სამაგისტრო პროგრამის შიგნით ორგანიზებულ შიდა გამოცდას/გამოცდების/გასაუბრების შედეგებს უფლება აქვთ ბრძანებით მიერ განსაზღვრულ ვადაში აკადემიაში წარადგინონ საპრეტენზიო განაცხადი.

2.12 ერთობლივი სამაგისტრო პროგრამის აკადემიური საბჭოს მიერ განსაზღვრული შიდა გამოცდის/გამოცდების და მიმღებ კომისიასთან გასაუბრების შეფასების შედეგებთან დაკავშირებით მაგისტრანტობის კანდიდატების საპრეტენზიო განცხადებებს განიხილავს აკადემიის და უნივერსიტეტის რექტორების ერთობლივი ბრძანების საფუძველზე შექმნილი საპრეტენზიო საბჭო. აკადემიის და უნივერსიტეტის რექტორებს საპრეტენზიო საბჭოს წევრთა შემადგენლობას წარუდგენს ერთობლივი სამაგისტრო პროგრამის აკადემიური საბჭო. საპრეტენზიო საბჭოში არ შეიძლება შედიოდნენ ის პირები, რომლებსაც მონაწილეობა აქვთ მიღებული მაგისტრანტობის კანდიდატების შეფასებაში.

2.13 ერთობლივი სამაგისტრო პროგრამის შიგნით ორგანიზებული შიდა გამოცდის/გამოცდების და მიმღებ კომისიასთან გასაუბრების საბოლოო შედეგების გამოქვეყნების შემდეგ, აკადემიის/ერთობლივი სამაგისტრო პროგრამის განხორციელებაში ჩართული ადმინისტრაციული პერსონალი ქმნის სამაგისტრო გამოცდების კოეფიციენტებით რანჟირების დოკუმენტს.

2.14 სამაგისტრო გამოცდების კოეფიციენტებით რანჟირების დოკუმენტში მოხვდებიან, მხოლოდ ის მაგისტრანტობის კანდიდატები, რომლებმაც წარმატებით გაიარეს საერთო სამაგისტრო გამოცდა და ერთობლივი სამაგისტრო პროგრამის შიგნით ორგანიზებული შიდა გამოცდა/გამოცდები და გასაუბრება მიმღებ კომისიასთან.

2.15 ბრძანებით განსაზღვრულ ვადაში, სამაგისტრო გამოცდების კოეფიციენტებით რანჟირების დოკუმენტით გათვალისწინებულ პირებსა და პარტნიორ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების რექტორებს/აკადემიის რექტორს შორის ფორმდება ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც აკადემიის რექტორის ბრძანებით პირი ირიცხება ერთობლივ სამაგისტრო პროგრამაზე და ენიჭება სტუდენტის/მაგისტრანტის სტატუსი.

მუხლი 3. საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სტუდენტის სტატუსის მოპოვება

3.1 მაგისტრანტობის კანდიდატების ხელშეწყობისა და სტუდენტების მობილობის მიზნით ერთობლივ სამაგისტრო პროგრამაზე სწავლა დასაშვებია საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე, "უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების მიერ დოკუმენტების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 29 დეკემბრის N 224/ნ ბრძანებით დადგენილი წესის შესაბამისად შემდეგი პირებისთვის:

ა) მაგისტრანტობის კანდიდატებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს შესაბამისი უმაღლესი განათლების აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტი;

ბ) უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის (გარდა ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა), რომლებიც სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მაგისტრატურაში;

ბ[1]) საქართველოს მოქალაქეებისათვის (გარდა ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა და გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა), რომლებიც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის, 2011 წლის 19 დეკემბრის № 224 / ნ ბრძანების მე-2 მუხლის მე-9 პუნქტის „დ[1]“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ვადით ცხოვრობენ/ცხოვრობდნენ, სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მაგისტრატურაში;

გ) მაგისტრანტობის კანდიდატებისათვის, რომლებიც უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩაირიცხნენ ამ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად;

დ) უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის, რომლებმაც საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის გაგრძელების უფლება მოიპოვეს „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის ამოქმედებამდე და აქვთ საქართველოში გაცემული სახელმწიფოს მიერ აღიარებული უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი.

მუხლი 4. მობილობა

4.1 ერთობლივ სამაგისტრო პროგრამაზე მაგისტრანტების ჩარიცხვა შესაძლებელია მობილობის წესით, რომელიც ხორციელდება "უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის N10/ნ ბრძანების შესაბამისად.

4.2 მობილობის უფლება აქვს პირს, რომლის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხვა განხორციელდა კანონმდებლობით დადგენილი წესით და ელექტრონულ პორტალზე მობილობის მსურველად რეგისტრაციის მომენტისათვის არის დაწესებულების სტუდენტი.

4.3 მობილობა (მათ შორის შიდა მობილობა) შესაძლებელია განხორციელდეს უმაღლესი განათლების ერთი საფეხურის ფარგლებში.

4.4 ერთობლივი სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში მობილობის გამოცხადების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს აკადემიური საბჭო და შესაბამის გადაწყვეტილებას წარუდგენს პარტნიორი უსდ-ების რექტორებს.

4.5 მობილობის პროცესის ადმინისტრირებასთან დაკავშირებით აკადემიის და უნივერსიტეტის რექტორები ერთობლივად გამოსცემენ ბრძანებას რომელშიც მობილობის წესით ერთობლივ სამაგისტრო პროგრამაზე სწავლის გაგრძელების მსურველ პირთა მიერ უნდა განხორციელდეს შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენა აკადემიაში. მობილობის მსურველი, რომელიც დადგენილ ვადაში არ მიმართავს განცხადებით დაწესებულებას ჩარიცხვის შესახებ, კარგავს საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლებას, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

4.6 ერთობლივი სამაგისტრო პროგრამის აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით შესაძლებელია დადგინდეს დამატებითი მოთხოვნები იმ პირებისთვის რომლებსაც სურთ მობილობის წესით სწავლა გააგრძელონ ერთობლივ სამაგისტრო პროგრამაზე. რაც შესაძლებელია გულისხმობდეს მაგრამ არ

შემოიფარგლებოდეს შიდა გამოცდის/გამოცდების ჩაბარებით, დოკუმენტაციის განხილვით ან გასაუბრების წარმატებით გავლით. აღნიშნულთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილება წარედგინებათ აკადემიის და უნივერსიტეტის რექტორებს და აისახება მობილობის ადმინისტრირებასთან დაკავშირებით გამოცემულ ბრძანებაში.

4.7 ერთობლივი სამაგისტრო პროგრამის აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით იქმნება სპეციალური კომისია, რომელიც შეისწავლის მობილობის წესით ერთობლივ სამაგისტრო პროგრამაზე სწავლის გაგრძელებით დაინტერესებული პირის მიერ გავლილ სასწავლო კურსებსა და დაგროვებულ კრედიტებს და ადგენს მათ თავსებადობას ერთობლივ სამაგისტრო პროგრამასთან.

4.8 ერთობლივი სამაგისტრო პროგრამის კოორდინატორი მობილობის წესით ერთობლივ სამაგისტრო პროგრამაზე სწავლის გაგრძელების მსურველ პირებს აცნობებს სპეციალური კომისიის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას მათთვის გავლილი სასწავლო კურსებსა და დაგროვებულ კრედიტების აღიარების შესახებ.

4.9 ერთობლივ სამაგისტრო პროგრამაზე მობილობის წესით სწავლის გაგრძელებით დაინტერესებული პირმა ხელმოწერით უნდა დაადასტუროს, რომ იგი თანახმა არის უღიარდეს კომისიის გადაწყვეტილებით გათვალისწინებული სასწავლო კურსები და კრედიტები.

4.10 იმ შემთხვევაში თუ ერთობლივ სამაგისტრო პროგრამაზე მობილობის მსურველთა განაცხადების რაოდენობა რეგისტრირებული ადგილების რაოდენობაზე მეტია, ერთობლივ სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლებას მიიღებენ აკადემიის მიერ რეგისტრირებული ადგილების შესაბამისი რაოდენობის სტუდენტები, რომელთა საერთო სამაგისტრო გამოცდების შედეგები აღემატება მობილობის სხვა მსურველთა შესაბამის შედეგებს.

4.11 აღიარებული კრედიტის რაოდენობიდან გამომდინარე, სპეციალური კომისია განსაზღვრავს, თუ რომელი სემესტრიდან შეუძლია მობილობის წესით გამომსვლელ პირს სწავლის გაგრძელება.

4.12 ერთობლივი სამაგისტრო პროგრამის პროგრამის კურიკულუმის შემადგენელი სასწავლო კურსების წინაპირობებიდან და განრიგიდან გამომდინარე, შესაძლებელია მობილობის წესით გადმომსვლელ პირს დასჭირდეს დამატებითი სემესტრის (სემესტრების) გავლა, რომლის თაობაზეც მას უნდა ეცნობოს წინასწარ.

4.13 ერთობლივ სამაგისტრო პროგრამაზე მობილობის წესით სწავლის გაგრძელების მსურველ პირსა და აკადემიის რექტორს/პარტნიორი უსდ-ების რექტორს შორის ფორმდება ხელშეკრულება ამ ხელშეკრულების საფუძველზე გამოიცემა აკადემიის რექტორის/პარტნიორი უსდ-ების რექტორების ბრძანება პირის ერთობლივ სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვის შესახებ.

4.14 სპეციალურ ელექტრონულ პორტალზე ერთობლივ სამაგისტრო პროგრამაზე გამოცხადებული მობილობის ადგილებისა და შედეგების (მათ შორის შიდა მობილობის) შესახებ ინფორმაციის ასახვას ახორციელებს აკადემიის თანამშრომელი/ერთობლივი სამაგისტრო პროგრამის კოორდინატორი.

მუხლი 5. შიდა მობილობა

5.1 ერთობლივი სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში შიდა მობილობის გამოცხადების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს აკადემიური საბჭო და შესაბამის გადაწყვეტილებას წარუდგენს პარტნიორი უსდ-ების რექტორებს.

5.2 მსგავსი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში ერთობლივ სამაგისტრო პროგრამაზე შიდა მობილობა ცხადდება სასწავლო სემესტრის დაწყებამდე პარტნიორი უსდ-ების რექტორების ბრძანების

საფუძველზე. შიდა მობილობა შესაძლებელია გამოცხადდეს ერთი აკადემიური წლის განმავლობაში ორჯერ.

5.3 შიდა მობილობის პროცესის ადმინისტრირებას ახორციელებს აკადემია.

5.4 შიდა მობილობის უფლება წარმოეშვებათ პარტნიორი უსდ-ების სამაგისტრო საფეხურის იმ სტუდენტებს, რომლებსაც დასრულებული აქვთ შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის პირველი სემესტრი და აკმაყოფილებს ერთობლივი სამაგისტრო პროგრამის მოთხოვნებს.

5.5 შიდა მობილობის პროცესში სტუდენტის კრედიტების აღიარება ხორციელდება წინამდებარე წესის მე-4 მუხლის 4.7-4.12 პუნქტების შესაბამისად.

5.6 შიდა მობილობით სტუდენტის ჩარიცხვა ერთობლივ სამაგისტრო პროგრამაზე ხორციელდება აკადემიის რექტორის ბრძანების საფუძველზე.

თავი III სტუდენტი სტატუსის შეჩერება, აღდგენა, შეწყვეტა

მუხლი 6. მაგისტრანტის სტატუსის შეჩერების საფუძვლები

6.1 სტუდენტი სტატუსის შეჩერების საფუძველია:

6.1.1 აკადემიურ შვებულებაში გასვლა;
6.1.2 ჯანმრთელობის, ოჯახური და სამსახურებრივი მდგომარეობა;
6.1.3 უცხო ქვეყანაში, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლა, გარდა გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სწავლისა;
6.1.4 ორსულობა, მშობიარობა, ბავშვის მოვლა;
6.1.5 სწავლის საფასურის დადგენილ ვადებში გადაუხდელობა;
6.1.6 პირადი ან კანონიერი წარმომადგენლის განცხადება.

6.2 სტუდენტი უფლებამოსილია აიღოს აკადემიური შვებულება სემესტრის დაწყებიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში. აღნიშნული ვადის დაცვის შემთხვევაში, სტუდენტს შეენახება გადახდილი თანხა სტატუსის აღდგენის შემთხვევაში.

6.3 სტუდენტის სტატუსის პირადი განცხადებით შეჩერების მოთხოვნის შემთხვევაში მაგისტრანტი წარადგენს წერილობით განცხადებას (სასურველია მაგისტრანტმა პირად განცხადებაში მიუთითოს ის გარემოება/მიზეზი თუ რის გამო იჩერებს სტატუსს) ერთობლივი სამაგისტრო პროგრამის ერთ-ერთი ხელმძღვანელის სახელზე/აკადემიის რექტორის სახელზე.

6.4 სტუდენტის მხრიდან სტატუსის შეჩერებასთან დაკავშირებით პირად განცხადებაში მიზეზის არ მითითება არ წარმოადგენს, სტატუსის შეჩერებაზე უარის თქმის საფუძველს.

6.5 სტუდენტის სტატუსის შეჩერებად მიიჩნევა პარტნიორი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და სტუდენტის უფლება-მოვალეობების შესრულებისგან განთავისუფლება სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის გარეშე.

6.6 სტუდენტის სტატუსის შეჩერების პერიოდში სტუდენტსა და პარტნიორ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის საგანმანათლებლო მომსახურების თაობაზე გაფორმებული ხელშეკრულების მოქმედება შეჩერებულია;

6.7 სტუდენტის სტატუსი შეჩერებულად ითვლება პარტნიორი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულები მიერ სტუდენტის უფლება-მოვალეობების შესრულებისგან პირის განთავისუფლება სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის გარეშე;

6.8 სტუდენტის სტატუსის შეჩერებასთან დაკავშირებით გადაწყვეტილება ფორმდება პარტნიორი უსდ-ების რექტორების ბრძანების საფუძველზე და აისახება სტუდენტთა ერთიან რეესტრში.

6.9 სტუდენტის სტატუსის შეჩერების მაქსიმალური ვადაა 5 წელი, რომლის შემდეგაც პირს უწყდება სტუდენტის სტატუსი, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევისა.

მუხლი 7. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა

7.1 სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველია:

7.1.1 მობილობის წესით სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლა;

7.1.2 5 წელზე მეტი ხნის განმავლობაში სტუდენტის სტატუსის შეჩერება;

7.1.3 პირადი განცხადება;

7.1.4 ერთი და იმავე სავალდებულო სასწავლო კურსის ფარგლებში ზედიზედ 3 (სამი) არადამაკმაყოფილებელი შეფასების (F) მიღება;

7.1.5 ერთობლივი სამაგისტრო პროგრამის დასრულება;

7.1.6 ერთობლივი სამაგისტრო პროგრამის ეთიკისა და ქცევის კოდექსით გათვალისწინებული ნორმების დარღვევა;

7.1.7პარტნიორი უსდ-ების რეპუტაციისა და მათი კანონიერი ინტერესებისთვის ზიანის მიყენება

7.1.8 გარდაცვალება.

7.2 სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა ხორციელდება პარტნიორი უსდ-ების რექტორების ბრძანებების საფუძველზე, რაც წარმოადგენს სტუდენტთან დადებული ხელშეკრულების მოშლის საფუძველს. აღნიშნული არ ათავისუფლებს მხარეებს ხელშეკრულების მოშლამდე წარმოშობილი და შეუსრულებელი ურთიერთვალდებულებებისგან.

7.3 სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ სამართლებრივი აქტით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგები დგება ბრძანებების გამოცემიდან თორმეტი თვის შემდეგ. დროის ამ მონაკვეთში სტუდენტის სტატუსი ითვლება შეჩერებულად და სტუდენტი უფლებამოსილია განახორციელოს მობილობა სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

7.4 სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შემთხვევაში, მისი ხელახალი მოპოვება დასაშვებია კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავი IV ერთობლივი სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში კრედიტების დაგროვების, სტუდენტთა ცოდნის შეფასების, გამოცდების ჩატარებისა და გასაჩივრების, სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარების წესი

მუხლი 8. ტერმინთა განმარტება

8.1 წინამდებარე თავში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

8.1.1 კრედიტი – ერთეული, რომელიც გამოხატავს სტუდენტისათვის საჭირო სასწავლო დატვირთვას გამოხატულს დროის ერთეულში-საათებში და რომლის მიღებაც შესაძლებელია სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ;

8.1.2 საკონტაქტო საათი – საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის განმახორციელებელი პერსონალის ჩართულობით სტუდენტის სასწავლო საქმიანობისთვის განსაზღვრული დრო;

8.1.3 დამოუკიდებელი საათი – საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის განმახორციელებელი პერსონალის ჩართულობის გარეშე სტუდენტის სასწავლო საქმიანობის დრო;

8.1.4 ერთობლივი სამაგისტრო პროგრამის კომპონენტები – სასწავლო კომპონენტი და სამეცნიერო-კვლევითი/კვლევითი კომპონენტი;

8.1.5 სასწავლო კომპონენტი – ერთობლივი სამაგისტრო პროგრამის შემადგენელი ნაწილი, რომელიც წარმოდგენილია სასწავლო კურსის, მოდულის, პრაქტიკის, შემოქმედებითი/პრაქტიკული სახის პროექტის, კვლევითი პროექტის/ნაშრომის ან სხვა კომპონენტის სახით;

8.1.6 სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი – ერთობლივი სამაგისტრო პროგრამის შემადგენელი ნაწილი, რომელიც წარმოდგენილია სამაგისტრო პროექტის/ნაშრომის სახით;

8.1.7 სტუდენტის სასწავლო დატვირთვა – დრო, რომელიც საჭიროა ერთობლივი სამაგისტრო პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მისაღწევად. სტუდენტის სასწავლო დატვირთვა უნდა ეფუძნებოდეს დამოუკიდებელ და საკონტაქტო საათებს;

8.1.8 სწავლება-სწავლის მეთოდი – ერთობლივი სამაგისტრო პროგრამის კომპონენტის განმახორციელებელი პირის მიერ სტუდენტისთვის, ცოდნის გადაცემის საშუალება, როგორიცაა: ლექცია, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, პრაქტიკული მუშაობა, სემინარი, ელექტრონული რესურსით სწავლება, ელექტრონული სწავლება და სხვა, სწავლება/სწავლის მეთოდი შეიძლება მოიცავდეს შესაბამის აქტივობებს (დისკუსია, დებატები, დემონსტრირება, პრეზენტაცია, სემინარი და სხვა);

8.1.9 შეფასების ფორმები – შეფასების ფორმებია შუალედური შეფასება (ერთჯერადი ან მრავალჯერადი) და დასკვნითი შეფასება, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას;

8.1.10 შეფასების კომპონენტები – შეფასების ფორმების ნაწილი, რომელიც განსაზღვრავს სტუდენტის ცოდნის ან/და უნარის ან/და კომპეტენციების შეფასების ხერხს/ხერხებს, რომელიც შეიძლება აერთიანებდეს შეფასების ერთგვაროვან მეთოდებს (ზეპირი/წერითი გამოცდა, ზეპირი/წერითი გამოკითხვა, აუდიო-ვიზუალური ნაწარმოების შექმნა, პრაქტიკული/თეორიული სამუშაო და სხვა);

8.1.11 შეფასების მეთოდი – ერთობლივი სამაგისტრო პროგრამის კომპონენტში განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის შესაფასებლად გამოსაყენებელი საშუალება/საშუალებები (ტესტი, ესე/ესეი, დემონსტრირება, პრეზენტაცია, დისკუსია, პრაქტიკული/თეორიული დავალების შესრულება, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, დისკუსიაში მონაწილეობა და სხვა);

8.1.12 შეფასების კრიტერიუმი – შეფასების მეთოდის საზომი ერთეული, რითაც დგინდება სწავლის შედეგების მიღწევის დონე.

8.2 სტუდენტის სასწავლო საქმიანობა (დატვირთვა) მოიცავს:

8.2.1 ლექციებზე, სემინარებზე, პრაქტიკულ და ლაბორატორიულ მეცადინეობებზე დასწრებას;

8.2.2 დამოუკიდებელ მეცადინეობას;

8.2.3 სასწავლო და სამეცნიერო პრაქტიკას (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

8.2.4 გამოცდების მომზადება-ჩაბარებას;

8.2.5 კვლევით კომპონენტზე მუშაობას;

8.2.6 კვლევითი კომპონენტის შესრულებასა და მის დაცვას.

8.3 სასწავლო კვირა/სემესტრი/წელი:

8.3.1 სასწავლო კვირა არის დროის პერიოდი, რომელზეც ნაწილდება სტუდენტის სასწავლო დატვირთვა კვირაში. სასწავლო კვირაში დამოუკიდებელი და საკონტაქტო საათების ჯამური ოდენობა შეადგენს არაუმეტეს 25 ასტრონომიულ საათს;

8.3.2 სასწავლო სემესტრი არის დროის პერიოდი, რომელიც მოიცავს სასწავლო კვირათა ერთობლიობას, დამატებითი გამოცდის/გამოცდების ჩატარებისა და დამატებით გამოცდაზე/გამოცდებზე მაგისტრანტების მიღწევის შეფასების პერიოდს;

8.3.3 სასწავლო (აკადემიური) წელი არის სემესტრების ერთობლიობა და მათ შორის დასვენების პერიოდი, რაც არ აღემატება 12 უწყვეტ კალენდარულ თვეს;

8.3.4 ერთი აკადემიური წელი მოიცავს საშუალოდ 60 (ECTS) კრედიტს.

8.3.5 ერთობლივი სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში სასწავლო წელი მოიცავს ორ სემესტრს - შემოდგომის და გაზაფხულის. სასწავლო წლის დაწყების, არდადეგების, დასრულების და გამოცდებისთვის განკუთვნილი ვადები რეგულირდება ყოველი სემესტრის დაწყებამდე - აკადემიური კალენდრით. ერთობლივი სამაგისტრო პროგრამის აკადემიურ კალენდარს განსაზღვრავს ერთობლივი სამაგისტრო პროგრამის აკადემიური საბჭო და დასამტკიცებლად წარუდგენს აკადემიის რექტორს.

მუხლი 9. საკრედიტო სისტემა

9.1. დაუშვებელია სტუდენტის სასწავლო წლიური დატვირთვა აღემატებოდეს 75 (ECTS) კრედიტს.

9.2. კრედიტი ნაწილდება ერთობლივი სამაგისტრო პროგრამით განსაზღვრულ თითოეულ კომპონენტს შორის და მოიცავს კონკრეტული კომპონენტით მისაღწევი სწავლის შედეგებისთვის საჭირო საკონტაქტო და დამოუკიდებელ საათს. კრედიტი არ შეიძლება იქნეს გაანგარიშებული მხოლოდ საკონტაქტო საათების მიხედვით.

9.2.1. სასწავლო კომპონენტი არის ერთსემესტრიანი.

9.2.2. ერთი კრედიტი (ECTS) უტოლდება სტუდენტის სასწავლო საქმიანობას (სტუდენტის დატვირთვას) 25 ასტრონომიული საათის განმავლობაში და მოიცავს, როგორც საკონტაქტო, ასევე დამოუკიდებელ საათებს.

9.2.3. კრედიტის გაანგარიშებისას არ უნდა იყოს გათვალისწინებული დამატებითი გამოცდისთვის (მომზადება, ჩაბარება, შეფასება) განსაზღვრული დრო, აგრეთვე ერთობლივი სამაგისტრო პროგრამის კომპონენტის განმახორციელებელ პირთან საკონსულტაციო დრო.

მუხლი 10. სწავლის პერიოდში უცხო ქვეყნის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებული განათლების აღიარება

10.1 პარტნიორი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები საერთაშორისო დონეზე, სტუდენტების, მობილობის ხელშეწყობის მიზნით, უცხო ქვეყნის პარტნიორ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებთან ერთად ახორციელებს სხვადასხვა ტიპის ერთობლივ პროგრამებს.

10.2 უცხო ქვეყნის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში საერთაშორისო მობილობის ფარგლებში სტუდენტის მიერ გავლილი სასწავლო კურსების თავსებადობა მოწმდება ერთობლივი სამაგისტრო პროგრამის აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით შექმნილი სპეციალური კომისიის მიერ მიერ შესაბამისი კურსების შინაარსის განხილვის/შედარების გზით.

10.3 უცხო ქვეყნის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის პერიოდში მიღებულ განათლებას აღიარება ხორციელდება სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ.

მუხლი 11. შეფასების სისტემა

11.1 სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება პროგრამის თითოეულ კომპონენტში უნდა მოიცავდეს შუალედურ და დასკვნით შეფასებას.

11.2 შეფასების თითოეულ ფორმასა და კომპონენტს შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) უნდა განესაზღვროს ხვედრითი წილი საბოლოო შეფასებაში.

11.3 დაუშვებელია კრედიტის მინიჭება შეფასების მხოლოდ ერთი ფორმის (შუალედური ან დასკვნითი შეფასება) გამოყენებით. სტუდენტს კრედიტი ენიჭება დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში.

11.4 შეფასების თითოეული ფორმა მოიცავს შეფასების კომპონენტს/კომპონენტებს, რომელიც მოიცავს შეფასების მეთოდს/მეთოდებს, ხოლო შეფასების მეთოდი/მეთოდები იზომება შეფასების კრიტერიუმებით.

11.5 შეფასების კომპონენტი, მეთოდი და კრიტერიუმი ადეკვატური უნდა იყოს საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტით განსაზღვრული და მისაღწევი სწავლის შედეგების შეფასებისთვის.

11.6 შეფასების შუალედურ და დასკვნით ფორმებში განსაზღვრული უნდა იყოს მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვრის ხვედრითი წილი არ უნდა აღემატებოდეს დასკვნითი შეფასების 50+1%-ს.

11.7 ერთობლივი სამაგისტრო პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალი უფლებამოსილია თავად განსაზღვროს შუალედური და დასკვნითი შეფასების კომპონენტში მინიმალური კომპეტენციის ზღვარი.
11.8 ერთობლივი სამაგისტრო პროგრამის კომპონენტების სწავლის შედეგების მიღწევის შეფასება უნდა დასრულდეს იმავე სემესტრში, რომელშიც იგი ხორციელდებოდა.

11.9 შეფასების სისტემა უშვებს:
11.9.1 ხუთი სახის დადებით შეფასებას:
ა) (A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა;
ბ) (B) ძალიან კარგი – შეფასების 81-90 ქულა;
გ) (C) კარგი – შეფასების 71-80 ქულა;
დ) (D) დამაკმაყოფილებელი – შეფასების 61-70 ქულა;
ე) (E) საკმარისი – შეფასების 51-60 ქულა.

11.9.2 ორი სახის უარყოფით შეფასებას:
ა) (Fx) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

ბ) (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

11.10 ერთობლივი სამაგისტრო პროგრამის სასწავლო კომპონენტში, Fx-ის მიღების შემთხვევაში, ერთობლივი სამაგისტრო პროგრამის ადმინისტრაცია დამატებითი გამოცდას ნიშნავს დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღის ვადაში.
11.11 სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა.
11.12 დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება ერთობლივი სამაგისტრო პროგრამის კომპონენტის საბოლოო შეფასებაში.
11.13 დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით, ერთობლივი სამაგისტრო პროგრამის კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა.
11.14 სამაგისტრო პროექტის/ნაშრომის, შეფასება ხორციელდება „ა(ა)იპ ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტისა და შპს პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემიის „გამოყენებითი საზოგადოებრივი ჯანმრთელობის“ ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის კვლევითი კომპონენტის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების წესის“ შესაბამისად.

მუხლი 12. სტუდენტის შეფასების საშუალო მაჩვენებელი (GPA)
12.1 სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემის შემადგენელი ნაწილია საშუალო მაჩვენებლის (GPA) გამოანგარიშება.
12.2 სტუდენტთა შეფასების საშუალო მაჩვენებელი (GPA) გამოიანგარიშება მათ მიერ ერთობლივი სამაგისტრო პროგრამით გათვალისწინებულ ყოველ საგანში მიღებული შეფასების ნამრავლით ამავე

საგნის კრედიტზე. საგნებისა და კრედიტების ნამრავლი ჯამდება და იყოფა გავლილი საგნების კრედიტების ჯამურ რაოდენობაზე.

თავი V. ერთობლივ სამაგისტრო პროგრამებზე გამოცდების ჩატარების წესი და პირობები

მუხლი 13. რეგულირების სფერო და მიზანი

13.1 წინამდებარე თავით არეგულირებს ერთობლივი სამაგისტრო პროგრამაზე პროგრამაზე შეფასებების/გამოცდების ჩატარების წესს და უზრუნველყოფს საგამოცდო პროცესის გამჭვირვალობას და სამართლიანობას.

13.2 ამ წესის მიზანია უზრუნველყოს ერთობლივ სამაგისტრო პროგრამაზე ერთიანი პროცედურით შუალედური და დასკვნითი გამოცდების და სხვა შუალედური შეფასებების ორგანიზება და ჩატარება.

13.3 შეფასების/გამოცდის მიზანია სტუდენტის ფაქტობრივი ცოდნის შემოწმება, ასევე მაგისტრანტების მიერ ამ ცოდნის გამოყენების უნარების, ანალიტიკური და კრიტიკული აზროვნების, აღწერისა და შეფასების, დამოუკიდებლად ეთიკური ღირებულებების დაცვით დავალების შესრულების უნარების შემოწმება, რაც ერთი მხრივ, ემსახურება სწავლის შედეგებისა და მიღწევების გაზრდას, ხოლო მეორე მხრივ, ემსახურება საგამოცდო პროცესის ობიექტურობის, სამართლიანობისა და გამჭვირვალობის ამაღლებას.

მუხლი 14. შეფასების/გამოცდის სახეები

14.1. ერთობლივი სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში შეიძლება განხორციელდეს შემდეგი სახის ზეპირი ან წერითი შეფასებები/გამოცდები:

14.1.1. წერითი შეფასება/გამოცდა, რომლის დროსაც მაგისტრანტს ეკრძალება ნებისმიერი დამატებითი მასალის გამოყენება და რომლის ხანგრძლივობაც არ აღემატება 3 საათს;

14.1.2. წერითი შეფასება/გამოცდა აუდიტორიაში, რომლის დროსაც ლექტორის მითითებით, სტუდენტს შეუძლია გამოიყენოს დამხმარე მასალა და რომლის ხანგრძლივობაც არ აღემატება 3 საათს;

14.1.3. ზეპირი შეფასება/გამოცდა, რომლის დროსაც ხორციელდება სტუდენტის ზეპირი გამოკითხვა;

14.1.4. შეფასება/გამოცდა, რომელიც ატარებს საშინაო დავალების ხასიათს;

14.1.5. ესსე - შეფასება/გამოცდა, რომლის დასაწერადაც სტუდენტს ეძლევა განსაზღვრული ვადა ლექტორის გადაწყვეტილების შესაბამისად;

14.1.6. ტესტირება - ე. წ. შეკითხვები მრავლობითი პასუხების არჩევანით.

14.1.7. კომპიუტერული დავალებები;

14.1.8. კომბინირებული გამოცდები და სხვა.

მუხლი 15. გამოცდის/შეფასების ჩატარების ვადები და პროცედურა

15.1 გამოცდის/შეფასების ორგანიზებულად და შეუფერხებლად ჩატარების მიზნით ერთობლივი სამაგისტრო პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალი ვალდებულია გამოცდის ჩატარებამდე მინიმუმ 10 კალენდარული დღით ადრე ერთობლივი სამაგისტრო პროგრამის ადმინისტრაციასთან შეათანხმოს შეფასების/გამოცდის ჩატარების დრო, ადგილი და საჭირო ტექნიკური საშუალებები.

15.2 შეფასების/გამოცდებს ტექნიკურ მხარდაჭერას უწევს ერთობლივი სამაგისტრო პროგრამის კოორდინატორი.

მუხლი 16. შეფასების/გამოცდის მიმდინარეობა

16.1 წერითი შეფასების/გამოცდის პროცესზე მონიტორინგს ახორციელებს დამკვირვებელი.

16.2 წერითი შეფასების/გამოცდების ჩასატარებლად შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს moodle-ის ან სხვა მსგავსი დანიშნულების პროგრამული უზრუნველყოფის სისტემა.

16.3 წერითი შეფასების/გამოცდის დაწყების და დასრულების დრო, წინასწარ არის პროგრამულად განსაზღვრული.

16.4 შეფასებაზე/გამოცდაზე კატეგორიულად იკრძალება გადაწერა ნებისმიერი მასალის გამოყენებით (თუ ლექტორის მიერ წინასწარ არ არის ნებადართული ამ მასალის გამოყენება) ან გადაწერაში დახმარება. აღნიშნული დარღვევის დაფიქსირების შემთხვევაში, მაგისტრანტი მოიხსნება გამოცდიდან და გაუფორმდება 0 ქულა შესაბამის შეფასებაში/გამოცდაში.

16.5 შეფასების/გამოცდის მსვლელობისას დაუშვებელია საუბარი, გადალაპარაკება, აუდიტორიის უნებართვოდ დატოვება, ყველა მაგისტრანტი ვალდებულია გამორთოს მობილური ტელეფონი და დატოვოს მობილური მითითებულ, გამოყოფილ ადგილზე (ასეთი მითითების არსებობის შემთხვევაში). აღნიშნული წესის დარღვევის შემთხვევაში მაგისტრანტი ვალდებულია დატოვოს გამოცდა, რის საფუძველზე მას გაუფორმდება 0 ქულა შესაბამის შეფასებაში/გამოცდაში.

16.6 მაგისტრანტი ვალდებულია დაემორჩილოს დამკვირვებლის გადაწყვეტილებას მისი გამოცდიდან მოხსნის თაობაზე.

16.7 დამკვირვებელი ვალდებულია გამოცდის დაწყებამდე მაგისტრანტებს აცნობოს შეფასების/გამოცდის მიმდინარეობის პროცედურები და პროცედურების დარღვევის შემთხვევაში მათზე რეაგირების მექანიზმები.

მუხლი 17. შეფასების/გამოცდის აღდგენის პროცედურა

17.1. დაუშვებელია შეფასების/გამოცდის გაცდენა საპატიო მიზეზის გარეშე. თუ შეფასების/გამოცდის გაცდენის საპატიო მიზეზი არ წარმოიშვა უშუალოდ გამოცდის დაწყების წინ, მაგისტრანტი ვალდებულია, საპატიო მიზეზის თაობაზე წარმოადგინოს შესაბამისი ცნობა. თუ გამოცდის გაცდენის მიზეზი ჩაითვლება საპატიოდ, მაგისტრანტს ლექტორთან შეთანხმებით, დამატებით ენიშნება შეფასება/გამოცდა. იმ შემთხვევაში, თუ შეფასების/გამოცდის გაცდენა არასაპატიო მიზეზით მოხდა, მაგისტრანტს შეფასებაში/გამოცდაში გაუფორმდება 0 ქულა. ერთობლივი სამაგისტრო პროგრამის ადმინისტრაცია უფლებამოსილია, შეფასების/გამოცდის არასაპატიო მიზეზით გაცდენის შემთხვევაში, არ დაუნიშნოს მაგისტრანტს დამატებითი გამოცდა.

17.2. თუ შეფასების/გამოცდის გაცდენის საპატიო მიზეზი წარმოიშვა უშუალოდ შეფასების/გამოცდის დაწყების წინ მაგისტრანტი ვალდებულია, შეფასების/გამოცდის გაცდენიდან არა უგვიანეს 1 კვირისა აცნობოს ერთობლივის სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელებს/კოორდინატორს გაცდენის მიზეზი და წარმოადგინოს საპატიო მიზეზის დამადასტურებელი დოკუმენტი, რათა მოხდეს განხილვა გაცდენის საპატიოდ ჩათვლის შესახებ.

17.3. მაგისტრანტის მიერ წარმოდგენილი საპატიო მიზეზის დამადასტურებელი დოკუმენტის საფუძველზე, შეფასების/გამოცდის გაცდენის საპატიოდ ჩათვლისა და შეფასების/გამოცდის აღდგენის თაობაზე, გადაწყვეტილებას იღებს ერთობლივი პროგრამის ხელმძღვანელი შესაბამისი სასწავლო კურსის განმახორციელებელ პერსონალთან შეთანხმებით.

17.4. საპატიო მიზეზით შეფასების/გამოცდის გაცდენის შემთხვევაში, მაგისტრანტი ვალდებულია დამატებითი შეფასება/გამოცდა ჩააბაროს ერთობლივი სამაგისტრო პროგრამის ადმინისტრაციის მიერ დანიშნულ პერიოდში.

17.5. დაუშვებელია შეფასების/გამოცდის გაცდენა ორჯერ, გაცდენის მიზეზის მიუხედავად. ამ შემთხვევაში მაგისტრანტს გაუფორმდება 0 ქულა.

მუხლი 18. სასწავლო კომპონენტში მიღებული შეფასების გასაჩივრება

18.1 სასწავლო კურსის განმახორციელებელი პირი ვალდებულია შეფასების/გამოცდის შედეგები მაგისტრანტს გააცნოს შეფასების/გამოცდის ჩატარებიდან არა უგვიანეს 10 სამუშაო დღის ვადაში.
18.2. შეფასების/გამოცდის შედეგების გაცნობიდან 3 სამუშაო დღის ვადაში მაგისტრანტს უფლება აქვს გაასაჩივროს შეფასების/გამოცდის შეფასება ერთობლივი სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელების სახელზე არგუმენტირებული წერილობითი განცხადების წარდგენის გზით. იმ შემთხვევაში, თუ მაგისტრანტს, სურს გაასაჩივროს იმ სასწავლო კურსის შეფასებაში/გამოცდაში მიღებული შეფასება, რომელსაც ახორციელებს ერთობლივი სამაგისტრო პროგრამის ერთ-ერთი ხელმძღვანელი, ერთპიროვნულ გადაწყვეტილებას განცხადების დაკმაყოფილებაზე ან მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ იღებს ერთობლივი სამაგისტრო პროგრამის მეორე ხელმძღვანელი.
18.3. წერილობითი განცხადების განხილვის შემდგომ ერთობლივი სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელები იღებენ გადაწყვეტილებას მისი დაკმაყოფილების ან დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ, წერილობითი განცხადების დაკმაყოფილების შემთხვევაში ერთობლივი სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელები განსაზღვრავენ იმ ლექტორს ან დარგის სხვა ექსპერტს, რომელიც ვალდებულია 2 კვირის ვადაში საფუძვლიანად შეისწავლოს და ობიექტურად შეაფასოს მაგისტრანტის მიერ შესრულებული ნაშრომი, ხოლო ზეპირი შეფასების/გამოცდის შემთხვევაში ჩაატაროს განმეორებითი შეფასება/გამოცდა.
18.4 წერილობითი განცხადების დაკმაყოფილების შემთხვევაში სტუდენტის შეფასების/გამოცდის ფარგლებში მომზადებული ნაშრომი დამატებით შემფასებელს გადაეცემა იმ ფორმით, რომ მისთვის უცნობის იყოს სტუდენტი ვინაობა და მიღებული შეფასება. ზეპირი გამოცდის შემთხვევაში კი დამატებითი შემფასებლისთვის უცნობი უნდა იყოს მიღებული შეფასება.
18.5. დამატებით შეფასების ქულა შესაძლებელია იყოს არსებულ ქულაზე მაღალი, დაბალი ან იდენტური, დამატებითი შეფასება საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

თავი VI. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესი

მუხლი 19. წესის რეგულირების სფერო და მიზნები

19.1 ეს წესი არეგულირებს შეზღუდული შესაძლებლობებისა და სპეციალური საჭიროებების მქონე მაგისტრანტებისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება/მოდიფიცირებასა ან/და სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის და საგანმანათლებლო პროცესში შეუფერხებელი ჩართულობის უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ საკითხებს.
19.2 წესის მიზანია ერთობლივი სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში უზრუნველყოს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ან/და სპეციალური საჭიროებების მქონე მაგისტრანტებისათვის სწავლის სათანადო პირობების შექმნა.

მუხლი 20. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება და დაგეგმვა

20.1 შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირი (შემდგომში - შშმპ) არის ერთობლივი სამაგისტრო პროგრამის სტუდენტი, მყარი ფიზიკური, ფსიქიკური, ინტელექტუალური ან სენსორული დარღვევებით, რომელთა სხვადასხვა დაბრკოლებასთან ურთიერთქმედებამ შესაძლოა ხელი შეუშალოს სასწავლო პროცესში ამ პირის სრულ და ეფექტიან მონაწილეობას სხვებთან თანაბარ პირობებში და

რომლისთვისაც საჭიროა ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება/მოდიფიცირება ან/და სასწავლო გარემოსთან ადაპტაცია ან/და ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენა და განხორციელება.

20.2 სპეციალური საჭიროების მქონე მაგისტრანტი არის პირი, რომელსაც აქვს სწავლაში ჩამორჩენა ან/და გამოირჩევა განსაკუთრებული ნიჭით, და რომლისთვისაც საჭიროა ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება/მოდიფიცირება ან/და სასწავლო გარემოსთან ადაპტაცია ან/და ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენა და განხორციელება.

20.3 შშმპ-მა/მისმა კანონიერმა წარმომადგენელმა ან სპეციალური საჭიროების მქონე მაგისტრანტმა ინდივიდუალური გეგმის შედგენის მოთხოვნით უნდა მიმართოს ერთობლივი სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელებს.

20.4 შშმპ-ის/მისი კანონიერი წარმომადგენლის განცხადებას თან უნდა ერთოდეს შეზღუდული შესაძლებლობების დამადასტურებელი დოკუმენტაცია, ხოლო სპეციალური საჭიროების მქონე მაგისტრანტის განცხადებას თან უნდა ერთოდეს სპეციალური საჭიროების მქონე გარემოებების აღწერა და შესაბამისი დოკუმენტაცია.

20.5 შშმპ-ს სპეციალურ საჭიროებებზე მორგებულ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას ხარისხის უზრუნველყოფის საბჭოს, აკადემიური/მოწვეული პერსონალისა და სხვა თანამშრომლების (მათ შორის საჭიროების შემთხვევაში მოწვეული ექსპერტების), ასევე შშმპ-ს/მისი კანონიერი წარმომადგენლის ჩართულობით შეიმუშავებს ერთობლივი სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელები ინკლუზიის კოორდინატორთან (რომელიც წარმოადგენს უნივერსიტეტის თანამშრომელს) თანამშრომლობით, არსებული და ხელმისაწვდომი რესურსების გათვალისწინებით.

20.6 შშმპ-სთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებისას გათვალისწინებული უნდა იყოს სასწავლო პროცესის ადაპტირებულ გარემოში განხორციელების შესაძლებლობა და საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი ადამიანური რესურსით უზრუნველყოფა.

20.7 სპეციალური საჭიროების მქონე მაგისტრანტის საჭიროებებზე მორგებულ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას შეიმუშავებს ერთობლივი სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელები უნივერსიტეტის ინკლუზიის კოორდინატორთან თანამშრომლობითა (საჭიროების შემთხვევაში სხვა პირების ჩართულობით), სტუდენტის სპეციალური საჭიროებებისა და საგანმანათლებლო პროგრამის შიდა რესურსების გათვალისწინებით.

20.8 ერთობლივი სამაგისტრო პროგრამის სასწავლო გეგმის შედგენაზე მუშაობის პროცესი შესაძლებელია ასევე მოწვეულ იქნენ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დამცველ ორგანიზაციები/ასოციაციები (მათ შორის უსინათლოთა და ყრუ-მუნჯთა კავშირები, შშმპ ასოციაციები და სხვა), აღნიშნულ ორგანიზაციებთან კონსულტაციების/მიღებული რეკომენდაციების საფუძველზე შესაძლებელია განხორციელდეს შესაბამისი სასწავლო კურსისა და სწავლების მეთოდების მოდიფიცირება.

20.9 ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში ადამიანური და მატერიალური რესურსის ხელმისაწვდომობა და შესაბამისობა შშმპ-ის ან სპეციალური საჭიროების მქონე მაგისტრანტების საჭიროებებთან.

20.10 ერთობლივი სამაგისტრო პროგრამის აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით, შშმპ-ის საჭიროებების გათვალისწინებით შესაძლებელია სასწავლო პროცესში სპეციალური უნარების მქონე პირების ჩართულობა.

20.11 ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება ასევე შესაძლებელია:

20.11.1 ერთობლივ სამაგისტრო პროგრამაზე მობილობის წესით გადმოსული მაგისტრანტებისათვის;

20.11.2 სტატუს აღდგენილი მაგისტრანტებისათვის;

20.12 შემუშავებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმის პროექტი განსახილველად წარედგინება ხარისხის უზრუნველყოფის საბჭოს.

20.13 ინდივიდუალური სასწავლო გეგმა შესაძლებელია გულისხმობდეს ასევე სწავლების დისტანციური მეთოდების გამოყენებას, საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა გათვალისწინებით.

20.14 ხარისხის უზრუნველყოფის საბჭოს მიერ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმასთან დაკავშირებით, დადებითი დასკვნის მომზადების შემთხვევაში ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, დასკვნასთან ერთად, დასამტკიცებლად წარედგინება ერთობლივი სამაგისტრო პროგრამის აკადემიურ საბჭოს.

20.15 ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ამოქმედების შემდეგ მასში ცვლილებების განხორციელება შესაძლებელია სწავლების პროცესის გაუმჯობესების მიზნით მომდევნო სასწავლო სემესტრის დაწყებამდე.

20.16 ცვლილების საფუძველი შეიძლება გახდეს სპეციალური საჭიროების მქონე ან სპეციალური საჭიროების მქონე მაგისტრანტის სპეციალური საჭიროებების ცვლილება, პროგრამის შიდა ხარისხის მექანიზმებით გათვალისწინებული სისტემური შეფასებების შედეგად გამოვლენილი მიგნებები, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის გარე შეფასება, სტუდენტის/მისის კანონიერი წარმომადგენლის უკუკავშირის მონაცემები პროგრამით კმაყოფილების კვლევის კითხვარებიდან და სხვა;

20.17 ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ცვლილება ხორციელდება ამ წესით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად.

მუხლი 21. სწავლება-სწავლის არასრული დატვირთვის რეჟიმი

21.1 ერთობლივი სამაგისტრო პროგრამის აკადემიური საბჭო უფლებამოსილია, საგანმანათლებლო მიზნებიდან გამომდინარე, სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში მაგისტრანტს მისცეს უფლება სწავლება-სწავლის პროცესი დაგეგმოს არასრული დატვირთვით.

21.2 სწავლება-სწავლის არასრული დატვირთვის რეჟიმი ნიშნავს მაგისტრანტის სასწავლო დატვირთვას კვირაში დამოუკიდებელი და საკონტაქტო საათების ჯამური მოცულობით არაუმეტეს 25 ასტრონომიული საათისა.

21.3 სწავლება-სწავლის არასრული დატვირთვის განსაზღვრისას ერთი აკადემიური წელი მოიცავს საშუალოდ 30 (ECTS) კრედიტს.

21.4 სასწავლო კურსის დაწყებისთანავე, კურსის განმახორციელებელი პირი ვალდებულია სტუდენტებს მიაწოდოს სილაბუსი, სადაც დეტალურად იქნება წარმოდგენილი, როგორც სწავლა-სწავლების მეთოდი და შეფასების კომპონენტები, ასევე ის, თუ როდის და რა სახით ჩატარდება შუალედური და ფინალური გამოცდა/შეფასებები.

თავი VII. პლაგიატის აღმოჩენის, თავიდან აცილების და მისი გამოვლენის შემთხვევაში რეაგირების პროცედურები და მექანიზმები

მუხლი 22. რეგულირების სფერო და მიზნები

22.1 წინამდებარე თავი განსაზღვრავს ერთობლივი სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში პლაგიატის გამოვლენის, თავიდან აცილებისა და მისი გამოვლენის შემთხვევაში რეაგირების პროცედურებს და მექანიზმებს.

22.2 წინამდებარე თავის მიზანია, დაამკვიდროს სწავლებისა და კვლევის პროცესში მონაწილე პირების მიერ, სხვისი ნაშრომის პატივისცემისა და ინტელექტუალური საკუთრების დაცვის სტანდარტები, რაც თავის მხრივ ემსახურება აკადემიური განათლებისა და კვლევის ერთიანი სივრცის შექმნას.

მუხლი 23. პლაგიატის დაუშვებლობა

23.1 პლაგიატი წარმოადგენს სხვის მიერ გამოქვეყნებული ნაშრომის ან მისი ნაწილის (ან გამოუქვეყნებელი ნაშრომის ან მისი ნაწილის, რომელზეც მტკიცდება ავტორობა, /მათ შორის დაცვის მიზნით მომზადებული თეორიების, ცნებების, მონაცემთა წყაროების ან/და მასალების, სახელმძღვანელოების, მეთოდოლოგიების ან დასკვნების, გრაფიკების, გამოსახულებების და სხვა), როგორც საკუთარი წარმოდგენა და გამოყენება, ავტორის შესაბამისი მითითებისა და საჭიროების შემთხვევაში, ნებართვის გარეშე.

23.2 მაგისტრანტებს ეკრძალებათ პლაგიატის ჩადენა, მათ შორის სხვისი ინტელექტუალური შრომის შედეგის ტექსტის, იდეის, კონცეფციის, ვიზუალური ან აუდიო მასალის, ნებისმიერი სახის მონაცემების მითვისება და გავრცელება ავტორის მიუთითებლად, აგრეთვე მონაცემების, ინფორმაციის ან ციტატების გაყალბება აკადემიურ ნაშრომში (ფალსიფიკაცია, ფაბრიკაცია, კომპილაცია).

მუხლი 24. პლაგიატის შემთხვევის თავიდან აცილების მექანიზმები

24.1 ერთობლივი სამაგისტრო პროგრამა პლაგიატის გამოვლინების თავიდან აცილების მიზნით უზრუნველყოფს შესაბამისი რეგულაციების სტუდენტებისთვის გაცნობასა და მის ხელმისაწვდომობას, ასევე პლაგიატის შემთხვევების თავიდან აცილების მიზნით ერთობლივი სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებს მიეწოდებათ „სტუდენტთა ინსტრუქცია პლაგიატის თავიდან არიდების შესახებ“.

24.2 ერთობლივი სამაგისტრო პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალი, ასევე პროგრამის კოორდინატორი ვალდებულია ინფორმირებულობის დონის ამაღლების და პლაგიატის თავიდან აცილების მიზნით საგანმანათლებლო პროგრამის დაწყებისთანავე განუმარტოს სტუდენტებს პლაგიატის მნიშვნელობა, მისი დაუშვებლობა, მისი აღმოჩენის მექანიზმები და მათზე რეაგირების პროცედურები.

მუხლი 25. პლაგიატის შემთხვევის გამოვლენის მექანიზმები

25.1 პლაგიატის აღმოჩენის მიზნით, ერთობლივი სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში გამოიყენება შესაბამისი ელექტრონული პროგრამა, რომლის მეშვეობით ხორციელდება მაგისტრანტთა ნაშრომების შემოწმება პლაგიატზე.

25.2 ელექტრონული პროგრამის გარდა, ერთობლივი სამაგისტრო პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პირს უფლებამოსილება აქვს პლაგიატის შესაძლო ფაქტები გამოავლინოს სხვადასხვა საინფორმაციო წყაროებისა და საძიებო სისტემების გამოყენებით, ასევე დაინტერესებულ პირთა მომართვის საფუძველზე.

25.3 ერთობლივი სამაგისტრო პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალი ვალდებულია პლაგიატის შესაძლო შემთხვევის გამოვლენისას, აღნიშნული ფაქტის შესახებ აცნობოს ერთობლივი სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელებს/კოორდინატორს.

მუხლი 26. პლაგიატის შემთხვევაზე რეაგირების მექანიზმები

26.1 სტუდენტის მხრიდან სასწავლო პროცესში შუალედური ან/და დასკვნითი გამოცდების/შეფასების პროცესში პლაგიატის გამოვლენის შემთხვევაში სტუდენტს უფორმდება არადამაკმაყოფილებელი შეფასება სასწავლო კურსში.

26.2 სამაგისტრო ნაშრომში პლაგიატის გამოვლენისა და მასზე რეაგირების პროცედურები რეგულირდება ა(ა)იპ ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტისა და შპს პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემიის „გამოყენებითი საზოგადოებრივი ჯანმრთელობის“ ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის კვლევითი კომპონენტის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების წესის შესაბამისად.

26.3 ერთობლივი სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულის საკვალიფიკაციო ნაშრომში პლაგიატის გამოვლენის შემთხვევაში ერთობლივი სამაგისტრო პროგრამის აკადემიური საბჭო უფლებამოსილია განიხილოს მინიჭებული აკადემიური ხარისხის ჩამორთმევის საკითხი.

26.1 26.2 და 26.3 პუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევაში გამოვლენისას ერთობლივი სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელებმა/კოორდინატორმა უნდა მიმართოს აკადემიის რექტორს, რომელიც ერთობლივი სამაგისტრო პროგრამის ეთიკისა და ქცევის კოდექსის შესაბამისად ახდენს აღნიშნულ ფაქტზე რეაგირებას.

თავი VIII ერთობლივი სამაგისტრო პროგრამის დასრულება და კურსდამთავრებულისათვის კვალიფიკაციის მინიჭება

მუხლი 27. კვალიფიკაციის მინიჭება

ერთობლივი სამაგისტრო პროგრამით გათვალისწინებული სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კომპონენტების გავლის, სამაგისტრო ნაშრომის/კვლევითი კომპონენტის წარმატებით დაცვის და ერთობლივი სამაგისტრო პროგრამით გათვალისწინებული კრედიტების მოპოვების შემდეგ, სტუდენტს ერთობლივი სამაგისტრო პროგრამის აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე ენიჭება საზოგადოებრივი ჯანდაცვის მაგისტრის აკადემიური ხარისხი, რაც ფორმდება პარტნიორი უსდ-ების რექტორების სამართლებრივი აქტით/აქტებით.

მუხლი 28. კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტის გაცემა

28.1 კურსდამთავრებულისთვის მინიჭებულ კვალიფიკაციას/აკადემიურ ხარისხს ადასტურებს პარტნიორი უსდ-ების რექტორების მიერ ხელმოწერილი, ამავე უსდ-ების ბეჭდებით დამოწმებული უმაღლესი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტი - ერთიანი დიპლომი,

28.2 კურსდამთავრებულის მიერ მიღებული განათლების შინაარსის და პარტნიორი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ მისთვის ერთობლივად მინიჭებული კვალიფიკაციის დასადასტურებლებად მის სახელზე აგრეთვე გაიცემა ერთიანი დიპლომის დანართი.

28.3 წინამდებარე მუხლის 28.1 და 28.2 პუნქტების გათვალისწინებით კურსდამთავრებულების სახელზე უმაღლესი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტის - ერთობლივი დიპლომისა და დიპლომის დანართის გაცემას ახორციელებს აკადემია.

თავი IX. საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილებების შეტანისა და გაუქმების წესი და პროცედურები

მუხლი 29. რეგულირების სფერო

წინამდებარე თავი განსაზღვრავს ერთობლივი სამაგისტრო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების და მასში ცვლილებების შეტანის და გაუქმების წესსა და პროცედურებს.

მუხლი 30 ერთობლივი სამაგისტრო პროგრამის შემუშავება და დამტკიცება

30.1 ერთობლივი სამაგისტრო პროგრამის შემუშავებაში ჩართულები არიან, აკადემიური საბჭო, პროგრამის ხელმძღვანელები, ხარისხის უზრუნველყოფის საბჭო, პარტნიორი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ადმინისტრაციული, აკადემიური და მოწვეული პერსონალი, პოტენციური დამსაქმებლები, სტუდენტები და კურსდამთავრებულები (ასეთის არსებობის შემდგომ) და სხვა დაინტერესებული პირები.

30.2 ერთობლივი სამაგისტრო პროგრამის შემუშავებისას გათვალისწინებული უნდა იყოს შრომის ბაზრის მოთხოვნები, გარე პარტნიორებთან კონსულტაციები, დარგის სპეციფიკა, ტენდენციები და საუკეთესო ადგილობრივი და საერთაშორისო პრაქტიკები.

30.3 ერთობლივი სამაგისტრო პროგრამის განხორციელებას უძღვებიან პროგრამის ხელმძღვანელები, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან საგანმანათლებლო პროგრამის კონცეპტუალურ მხარის მომზადებაზე, მის დაგეგმვასა და შემუშავებაზე, მის შეფასების პროცესში მონაწილეობასა და განვითარებაზე.

30.4 ერთობლივი სამაგისტრო პროგრამის შეფასება ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის საბჭოს მიერ, რომლის დადებითი დასკვნა სავალდებულოა საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის.

30.5 ერთობლივი სამაგისტრო პროგრამის შეფასება უნდა განხორციელდეს გარე (სასურველია საერთაშორისო) ექსპერტის მიერ.

მუხლი 31. ერთობლივი სამაგისტრო პროგრამის დამტკიცება

31.1 ერთობლივი სამაგისტრო პროგრამის პროექტთან დაკავშირებით ხარისხის უზრუნველყოფის საბჭო ამზადებს დასკვნას, რის შემდეგაც ერთობლივი სამაგისტრო პროგრამის პროექტი განსახილველად გადაეცემა აკადემიურ საბჭოს, რომლის მოწონების შემთხვევაშიც, საბოლოო პროექტი დასამტკიცებლად წარედგინებათ პარტნიორი უსდ-ების რექტორებს.

31.2 პარტნიორი უსდ-ების მიერ პროგრამის დამტკიცების შემდეგ ერთობლივ სამაგისტრო პროგრამასთან დაკავშირებული კანონმდებლობით განსაზღვრული დოკუმენტები წარედგინება სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს, აკრედიტაციის მიღების მიზნით.

31.3 ერთობლივი სამაგისტრო პროგრამისთვის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ აკრედიტაციის მინიჭების შემდგომ პარტნიორი უსდ-ები იწყებენ საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებას.

მუხლი 32. ერთობლივ სამაგისტრო პროგრამაში ცვლილებების განხორციელება

32.1 ერთობლივი სამაგისტრო პროგრამის განვითარების მიზნით ხარისხის უზრუნველყოფის საბჭო პერიოდულად ახორციელებს საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებას.

32.2 ერთობლივი სამაგისტრო პროგრამის განვითარების მიზნით, განხორციელებულ შეფასებაში ხარისხის უზრუნველყოფის საბჭოსთან კოორდინაციით მონაწილეობენ საგანმანათლებლო პროგრამის

ხელმძღვანელების, აკადემიური და მოწვეული პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები (ასეთის არსებობის შემდგომ), პოტენციური დამსაქმებლები და სხვა დაინტერესებული პირები.

32.3 ერთობლივი სამაგისტრო პროგრამის შეფასების შედეგად გამოვლენილი გასაუმჯობესებელი მხარეების შესახებ რეკომენდაციებს შეიმუშავებს ხარისხის უზრუნველყოფის საბჭო და მას განსახილველად წარუდგენს ერთობლივი სამაგისტრო პროგრამის აკადემიურ საბჭოსა და პროგრამის ხელმძღვანელებს, რომლებიც საჭიროების შემთხვევაში სხვადასხვა დაინტერესებული პირების მონაწილეობით განიხილავენ პროგრამაში ცვლილების შეტანის მიზანშეწონილობის საკითხს.

32.4 ხარისხის უზრუნველყოფის საბჭოს რეკომენდაციების გარდა, ერთობლივ სამაგისტრო პროგრამაში ცვლილების განხორციელების საფუძველი შეიძლება გახდეს საგანმანათლებლო პროგრამის გარე შეფასება, დარგის სპეციფიკისა და ტენდენციის გათვალისწინებით განმახორციელებელი პერსონალის მიერ წარდგენილი ცვლილებების პროექტი, სააკრედიტაციო წარმოების ან პროგრამის მონიტორინგის ფარგლებში, აკრედიტაციის ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციები, საერთაშორისო გამოცდილების შესწავლის შედეგად მიღებული ინფორმაცია და სხვა წყაროებიდან მიღებული რჩევები/რეკომენდაციები.

32.5 ერთობლივ სამაგისტრო პროგრამაში განსახორციელებელ ცვლილებებს, გარდა ამ მუხლის 32.6 პუნქტით გათვალისწინებული ცვლილებებისა, განიხილავს და ამტკიცებს ერთობლივი სამაგისტრო აკადემიური საბჭო.

32.6 ისეთი ცვლილება, რომელიც დაკავშირებულია საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული მისანიჭებელი კვალიფიკაციის ცვლილებასთან, მტკიცდება პარტნიორი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების რექტორების ბრძანებით.

32.7 ერთობლივ სამაგისტრო პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შესახებ ინფორმაცია აისახება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შიდა თვითშეფასების პერიოდულ ანგარიშებში/აკადემიური საბჭოს ოქმებში.

მუხლი 33. ერთობლივ სამაგისტრო პროგრამის გაუქმება

33.1 საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების საფუძველი შეიძლება გახდეს პროგრამის განხორციელების შეფასებისას გამოვლენილი ნაკლოვანებები და არაეფექტურობა, რაც შეიძლება დაკავშირებული იყოს პროგრამის მიმართ დაბალ ინტერესთან, პროგრამის შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შეუსაბამობასთან, სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა გამოკითხვის შედეგებთან, პროგრამის განხორციელების მხარდამჭერ გარე პარტნიორებთან თანამშრომლობის შეწყვეტასთან და სხვა;

33.2 წინადადება საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების შესახებ, პროგრამის ხელმძღვანელების ინიცირებით და ხარისხის უზრუნველყოფის საბჭოს დასკვნის გათვალისწინებით, განიხილება აკადემიურ საბჭოზე;

33.3 პროგრამის გაუქმების შემთხვევაში, აკადემიური საბჭოს დადებითი გადაწყვეტილების საფუძველზე, პარტნიორი უსდ-ების რექტორების მიერ, გამოიცემა შესაბამისი სამართლებრივი აქტები;

33.4 ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, პროგრამა გადადის მილევად რეჟიმში, რა დროსაც პროგრამის აკადემიური ხანგრძლივობის გათვალისწინებით, პარტნიორი უსდ-ები მისცემენ შესაძლებლობას ყველა აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტს გააგრძელონ სწავლა და მიენიჭოთ საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული კვალიფიკაცია. ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, თუკი არ იქნება მიღებული გადაწყვეტილება პროგრამის მილევად რეჟიმში განხორციელების შესახებ ან/და საგანმანათლებლო პროგრამაზე ირიცხებიან

სტუდენტები, მათი შემდგომი განათლებით უზრუნველყოფა განხორციელდება მობილობის მარეგულირებელი ნორმების შესაბამისად.

33.5 იმ შემთხვევაში, თუ ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი უსდ-ებიდან ერთ-ერთი უსდ მიიღებს გადაწყვეტილებას წინამდებარე ხელშეკრულების შეჩერებაზე/შეწყვეტაზე, პროგრამა განიხილება ახალ პროგრამად და მისი განხორციელების უფლების მოპოვება უნდა მოხდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 34. ერთობლივი სამაგისტრო პროგრამის შინაარსი

34.1 საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსი უნდა მოიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

34.1.1 საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება;
34.1.2 მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი/კვალიფიკაცია;
34.1.3 სწავლების ენა;
34.1.4 უმაღლესი განათლების საფეხური;
34.1.5 საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი:
34.1.6 საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი;
34.1.7 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები;
34.1.8 სწავლის შედეგები;
34.1.9 სწავლება-სწავლის მეთოდები;
34.1.10 სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა;
34.1.11 დასაქმების სფერო;
34.1.12 სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა;
34.1.13 ინფორმაცია ადამიანური რესურსების შესახებ (პროგრამაში ჩართული პროფესურის პირადი საქმეები);
34.1.14 პროგრამის კურიკულუმს, კომპეტენციების განაწილებას და ყველა სავალდებულო და არჩევითი კომპონენტის სილაბუსებს.

თავი X. სასწავლო კურსიდან ამოწერისა და მისი ხელახლა გავლის წესები

მუხლი 35. წესის მიზანი

35.1 წინამდებარე წესის მიზანია აკადემიური მოსწრების ფარგლებში სტუდენტის მიერ ერთობლივი სამაგისტრო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსიდან ამოწერის, მის ხელახლა გავლასთან დაკავშირებული საკითხებისა და პროცედურების განსაზღვრა.

მუხლი 36. სასწავლო კურსიდან ამოწერა

36.1 სასწავლო კურსიდან ამოწერა გულისხმობს სტუდენტის მიერ ერთობლივი სამაგისტრო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსის გადატანას მომდევნო სემესტრ(ებ)ში, ამ წესის დადგენილი მოთხოვნების დაცვით.

36.2 ერთობლივი სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში არჩევით სასწავლო კურსებთან მიმართებით სტუდენტს უფლება აქვს, როგორც ამოეწეროს სასწავლო კურსიდან ასევე გადაირჩიოს იგი და მის ნაცვლად გაიაროს სხვა სასწავლო კურსი მომდევნო სემესტრ(ებ)ში.

36.3 ერთი სასწავლო წლის განმავლობაში სტუდენტს უფლება აქვს განახორციელოს არაუმეტეს 2 სასწავლო კურსიდან (სავალდებულო ან/და არჩევითი სასწავლო კურსი) ამოწერა. ამ შემთხვევაში

სტუდენტს არ გაუფორმდება შეფასება აღნიშნულ სასწავლო კურსში და მიეცემა შესაძლებლობა სასწავლო კურსი გაიაროს მომდევნო სემესტრ(ებ)ის განმავლობაში დამატებითი გადასახადის გადახდის გარეშე.

36.4 სტუდენტს სასწავლო კურსიდან ამოწერის უფლება აქვს მხოლოდ, მისი დაწყებიდან პირველი 2 შეხვედრის/ლექციის განმავლობაში, რა შემთხვევაშიც სტუდენტი თავისუფლდება მომავალში აღნიშნული სასწავლო კურსის საფასურის განმეორებით გადახდის ვალდებულებისგან, აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ სასწავლო კურსიდან ამოწერა დაუშვებელია.

36.5 სასწავლო კურსის ამოწერის შემთხვევაში სტუდენტს შეიძლება დაემატოს სასწავლო სემესტრი/ები.

36.6 სასწავლო კურსიდან ამოწერა ხორციელდება ერთობლივი სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელებთან წინასწარი კონსულტაციის შემდეგ, სტუდენტის მხრიდან წერილობითი განცხადებისა და მათი თანხმობის საფუძველზე.

მუხლი 37. სასწავლო კურსის ხელახლა გავლა

37.1 სტუდენტს უფლება აქვს გავლილი სასწავლო კურს(ებ)ი გაიაროს ხელახლა, თუ არ არის კმაყოფილი მიღებული დადებითი შეფასებ(ებ)ით და სურს ახლიდან სასწავლო კურს(ებ)ის ჩაბარება კრედიტებით დაანგარიშებული შესაბამისი გადასახადის გადახდის შემდეგ.

37.2 სტუდენტი სასწავლო კურს(ებ)ზე ხელახლა დაიშვება შესაბამისი სასწავლო კურსის კრედიტებით დაანგარიშებული გადასახადის გადახდის შემდეგ.

37.3 სტუდენტს საბოლოო შეფასებად განესაზღვრება, ის შეფასება რომელსაც იგი მიიღებს ხელახლა სასწავლო კურსის გავლის შედეგად.

მუხლი 38. სამაგისტრო ნაშრომის დაცვის გადატანა

სტუდენტს უფლება აქვს პირადი განცხადების საფუძველზე გადაიტანოს სამაგისტრო ნაშრომის დაცვა ა(ა)იპ ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტისა და შპს პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემიის „გამოყენებითი საზოგადოებრივი ჯანმრთელობის“ ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის კვლევითი კომპონენტის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების წესით დადგენილი მოთხოვნების გათვალისწინებით.

თავი XI. სასწავლო პროცესის მონიტორინგის, ხარისხის უზრუნველყოფის შედეგების ანალიზისა და გამოყენების წესები

მუხლი 39. რეგულირების სფერო და მიზნები

39.1 სასწავლო პროცესის მონიტორინგის, ხარისხის უზრუნველყოფის შედეგების ანალიზისა და გამოყენების წესები განსაზღვრავს სასწავლო პროცესის მონიტორინგის მათ შორის სტუდენტთა აკადემიური მოსწრებისა და სწავლების ხარისხის ამაღლებასთან დაკავშირებულ საკითხებს. იგი აერთიანებს ერთობლივი სამაგისტრო პროგრამის ეფექტურობის შეფასების სისტემასა და შეფასების შედეგების გამოყენების პროცედურებსა და მექანიზმებს.

39.2 წესის მიზანია ერთობლივი სამაგისტრო პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, პოტენციური დამსაქმებლებისა და სხვა დაინტერესებული პირების ჩართულობით, სწავლების ხარისხის მონიტორინგის განხორციელება, საგანმანათლებლო პროგრამაში არსებული გასაუმჯობესებელი მხარეების გამოვლენა, მათი აღმოფხვრის გზების დასახვა და სწავლების ხარისხის შემდგომი გაუმჯობესების, სრულყოფის და შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა.

39.3 სასწავლო პროცესის შეფასებისა და რეგულირების წესი მოიცავს შემდეგ საკითხებს:

39.3.1 სწავლის ხარისხის შეფასებისა და შედეგების ანალიზისა და გამოყენების ციკლი;

39.3.2 სწავლების ხარისხის შეფასების მიმართულებები და საშუალებები;

39.3.3 სასწავლო პროცესის შიდა შეფასების შედეგების ანალიზი და გამოყენების პროცედურა.

მუხლი 40. სწავლების ხარისხის შეფასების, შედეგების ანალიზისა და გამოყენების ციკლი

40.1 სწავლის ხარისხის შეფასებისა და შედეგების ანალიზისა და გამოყენების ციკლი შედგება 4 (ოთხი) ურთიერთდაკავშირებული ეტაპებისგან:

დაგეგმე – განახორციელე – შეამოწმე – განავითარე:

40.1.1 დაგეგმე - სწავლების ხარისხის შეფასების მიზნით იგეგმება ჩასატარებელი ღონისძიებები, შეფასების საშუალებები, შეფასების კრიტერიუმები, განმახორციელებელი პირები და ღონისძიებების განხორციელების სიხშირე;

40.1.2. განახორციელე - დაგეგმილი ღონისძიებების განხორციელება ამ წესებით განსაზღვრული პირების ჩართულობითა და დადგენილი მეთოდოლოგიით, მათ შორის საველე სამუშაოებით;

40.1.3. შეამოწმე - ჩატარებული საველე და სხვა სამუშაოების შედეგების განხილვა/გაანალიზება, ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენა და შეფასება, რაც ხორციელდება უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ უნივერსიტეტის სკოლების პერსონალის, მათ შორის საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელებისა და სკოლების პერსონალის ჩართულობით;

40.1.4. განავითარე - გატარებული ღონისძიებების, მიღებული შედეგების შეფასებიდან გამომდინარე, ხარისხის გაუმჯობესებასთან დაკავშირებული რეკომენდაციების შემუშავება და სწავლების ხარისხის გაზრდასთან დაკავშირებით შესაბამისი ღონისძიებების გატარება.

მუხლი 41. სწავლების ხარისხის შეფასების მიმართულებები და საშუალებები

41.1 სწავლების ხარისხის შეფასების მიზნით, მოწმდება საგანმანათლებლო პროგრამა, პროგრამაში შემავალი ცალკეული კომპონენტები, ლექტორების მუშაობის ეფექტიანობა, სტუდენტთა აკადემიური მოსწრება, საგანმანათლებლო პროცესის ეფექტურობა და მასთან დაკავშირებული სხვა გარე და შიდა ფაქტორები.

41.2 სწავლის ხარისხის შეფასება თავის მხრივ ემყარება შემდეგ ძირითად მიმართულებებს:

41.2.1. გარე ფაქტორების შეფასება და ანალიზი;

41.2.2. შრომის ბაზრის მოთხოვნებთან საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის შეფასება;

41.2.3. კურსდამთავრებულთა დასაქმების ანალიზი და სტატისტიკური აღრიცხვა;

41.2.4. სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგი და შეფასება;

41.2.5. სასწავლო პროცესის შიდა შეფასება;

41.2.7. სასწავლო პროცესის შეფასების შედეგების ანალიზი და გამოყენების პროცედურა.

მუხლი 42. გარე ფაქტორების შეფასება და ანალიზი

42.1. გარე ფაქტორების შეფასება მოიცავს ადგილობრივი და უცხოური ანალოგიური აკადემიური პროგრამების პერიოდულ კვლევას, რომელთა შესწავლა და ანალიზი ემსახურება ერთობლივი სამაგისტრო პროგრამის კონკურენტუნარიანობისა და ცალკეული კომპონენტების ხარისხის უზრუნველყოფას და მის გაუმჯობესებას.

42.2. გარე ფაქტორების შეფასებასა და ანალიზს ახორციელებენ ერთობლივი სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელები ხარისხის უზრუნველყოფის საბჭოსთან კოორდინაციით.

მუხლი 43. შრომის ბაზრის მოთხოვნებთან საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის შეფასება

43.1 შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების მიზანია ერთობლივი სამაგისტრო პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა.
43.2 შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობის ანალიზი ძირითადად ხორციელდება დამსაქმებლების გამოკითხვით, მეორადი მონაცემების გადამუშავებითა და სხვა რესურსების გამოყენებით.
43.3 მეორადი მონაცემების გადამუშავება და სხვა რესურსების გამოყენება მოიცავს უსდ-ების სახელმწიფო ინსტიტუციების, საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციების მიერ შრომის ბაზართან დაკავშირებით ჩატარებული კვლევების შესწავლასა და ანალიზს.
43.4 შრომის ბაზრის მოთხოვნებთან პროგრამის თავსებადობის შეფასებას ახორციელებს ერთობლივი სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელები ხარისხის უზრუნველყოფის საბჭოსთან კოორდინაციით.

მუხლი 44. კურსდამთავრებულთა დასაქმების ანალიზი და სტატისტიკური აღრიცხვა
44.1 კურსდამთავრებულთა დასაქმების ანალიზისა და სტატისტიკური აღრიცხვის მიზანია კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობის განსაზღვრა და მათი პროფესიული განვითარებისათვის აუცილებელი მოთხოვნების შეფასება.
44.2 კურსდამთავრებულთა დასაქმების ანალიზის მიზნით პერიოდულად ხორციელდება კურსდამთავრებულთა გამოკითხვასა და დასაქმების მაჩვენებლის სტატისტიკურ აღრიცხვა, რომელსაც ახორციელებს ერთობლივი სამაგისტრო პროგრამის კოორდინატორი.

მუხლი 45. სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგი და შეფასება
45.1 სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგისა და შეფასების მიზანია სტუდენტთა მიერ ერთობლივი სამაგისტრო პროგრამით განსაზღვრული კომპონენტების ათვისების ხარისხის მონიტორინგი, რომელიც, მათ შორის მოიცავს, საგანმანათლებლო პროგრამის ან მისი კომპონენტის სირთულის ან/და სიმარტივის რელევანტურობის შეფასებას, სასწავლო კურსებში გამოყენებული ლიტერატურის სირთულის ან/და სიმარტივის შეფასებას, ლექტორების მიერ სილაბუსით განსაზღვრული შეფასების კრიტერიუმებისა და სწავლება-სწავლის მეთოდების ადეკვატურობის დადგენას, სტუდენტთა სასწავლო კურსში ჩართულობისა და სასწავლო კურსის მიმდინარეობის დროს სასწავლო სხვა შესაძლო გასაუმჯობესებელი მხარეების გამოვლენას.
45.2 სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგს და შეფასებას ახორციელებს ხარისხის უზრუნველყოფის საბჭო ერთობლივი სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელების ჩართულობით.

მუხლი 46. სასწავლო პროცესის შიდა შეფასება
46.1 სასწავლო პროცესის შიდა შეფასების მიზანია ერთობლივი სამაგისტრო პროგრამის ხარისხის შემოწმება, გასაუმჯობესებელი მხარეების გამოვლენა და ხარისხის ამაღლების მიზნით, სასწავლო პროცესში მიღწეული შედეგების შესაბამისობის დადგენა მოსალოდნელ სწავლის შედეგებთან.
46.2. სასწავლო პროცესის შეფასებას კოორდინაციას უწევს ხარისხის უზრუნველყოფის საბჭო ხოლო შეფასების პროცესი ხორციელდება ერთობლივი სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელებისა, კოორდინატორებისა და სხვა პერსონალის ჩართულობით.
46.3. საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება ხდება ორი ძირითადი მიმართულებით:

46.3.1. სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შეფასებითა და ანალიზით;

46.3.2. სასწავლო პროცესის ან მისი კომპონენტის სასწავლო კურსი მოდული და სხვა) დასრულების შემდგომი შეფასებითა და ანალიზით.

მუხლი 47. სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შეფასების ინსტრუმენტები/მეთოდები

47.1. სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შეფასება და ანალიზი შესაძლოა განხორციელდეს შემდეგი მეთოდების გამოყენებით:
47.1.1 შემთხვევითი შერჩევის პრინციპით პროგრამის ხელმძღვანელების, კოორდინატორის, ხარისხის უზრუნველყოფის საბჭოს წარმომადგენლის მიერ სასწავლო პროცესის მიმდინარეობაზე დასწრებით;
47.1.2 პროგრამის ხელმძღვანელების მიერ სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შესახებ ლექტორებთან პერიოდული უკუკავშირის წარმოებით;
47.1.3 შემთხვევითი შერჩევის პრინციპით პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის მიერ ერთმანეთის ლექციებსა და გამოცდებზე კოლეგიალური დასწრებით, რომელსაც, ასევე შესაძლებელია ესწრებოდეს ხარისხის უზრუნველყოფის საბჭოს წარმომადგენელი;
47.1.4 საჭიროების შემთხვევაში სტუდენტების ფოკუს-ჯგუფის (ან სხვა მეთოდის გამოყენებით) მეთოდით გამოკითხვა.

მუხლი 48. სასწავლო პროცესის დასრულების შემდგომი შეფასების ინსტრუმენტები/მეთოდები
48.1. სასწავლო პროცესის დასრულების შემდგომი შეფასებისა და ანალიზისთვის შესაძლოა გამოყენებულ იქნას, შემდეგი ინსტრუმენტები/მეთოდოლოგია:
48.1.1. გამოკითხვები;
48.1.2. ანგარიშგება.
48.2. გამოკითხვა გულისხმობს, სტუდენტებისგან და კურსდამთავრებულებისგან წინასწარ შემუშავებული კითხვარების მეშვეობით ინფორმაციის მიღებას საგანმანათლებლო პროცესთან დაკავშირებით, რომელიც მოიცავს:
48.2.1. სტუდენტების მიერ ლექტორების/სასწავლო კურსის ანონიმურ შეფასებას (დანართი N1-ის შესაბამისად);
48.2.2. სტუდენტების მიერ სამაგისტრო ნაშრომის/პრაქტიკის ხელმძღვანელის ანონიმურ შეფასებას (დანართნი N2 -ის შესაბამისად);
48.2.3 სტუდენტის მიერ სასწავლო პრაქტიკის შეფასება (დანართი N6 -ის შესაბამისად);
48.3. ანგარიშგება გულისხმობს საგანმანათლებლო პროცესში მონაწილე მხარეების მიერ სხვადასხვა ანგარიშების მომზადებას რაც მოიცავს:
48.3.1. პროგრამის ხელმძღვანელების მიერ შედგენილი სასწავლო პროცესის შესახებ ყოველწლიურ ანგარიშს;
48.3.2. სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან განხორციელებული ფოკუს ჯგუფის ანგარიშს (დანართი N3-ის და დანართი N4-ის შესაბამისად).
48.4. ამ მუხლით განსაზღვრულ შეფასების ინსტრუმენტების გამოყენებას, გამოკითხვების ჩატარების ადმინისტრირებას და ანგარიშგებების მომზადებას უზრუნველყოფს ხარისხის უზრუნველყოფის საბჭო, ერთობლივი სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელების და კოორდინატორების დახმარებით.

მუხლი 49. სასწავლო პროცესის შეფასების შედეგების ანალიზი
49.1. ამ თავის 48-ე მუხლის 48.2.1, 48.2.2, 48.2.3, და 48.3.2 პუნქტებით გათვალისწინებული შეფასების შედეგებს აანალიზებს ხარისხის უზრუნველყოფის საბჭო პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის, მათ შორის პროგრამის ხელმძღვანელების, კოორდინატორის და სხვა პირების ჩართულობით (შემდგომში სამუშაო ჯგუფი).
49.2. ანალიზის პროცესი მოიცავს:
49.2.1. სამუშაო ჯგუფის მიერ აამ თავის 48-ე მუხლის 48.2.1, 48.2.2, 48.2.3, და 48.3.2 პუნქტებით და სხვა შეფასების ინსტრუმენტების შედეგად შემუშავებული დოკუმენტაციის გაანალიზებას;
49.2.2. ერთობლივი სამაგისტრო პროგრამაში გამოვლენილი გასაუმჯობესებელი მხარეების მართვას და პოზიტიური ფაქტორების და გამოცდილების პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალს შორის ურთიერთგაზიარებას;

49.3. მიღებულ შედეგებზე რეაგირების მიზნით სამუშაო ჯგუფი სასწავლო წლის ბოლოს ახდენს შედეგების გაანალიზებას, რომელიც ხარისხის უზრუნველყოფის საბჭოს მიერ რეკომენდაციების სახით წარედგინება აკადემიურ საბჭოს განსახილველად.

მუხლი 50. შეფასების შედეგების გამოყენების პროცედურა

50.1. ხარისხის უზრუნველყოფის საბჭოს მიერ რეკომენდაციების წარდგენის შემდეგ აკადემიური საბჭო შეფასების ანგარიშის განსახილველად იკრიბება, გონივრულ ვადაში, ისე რომ შესაძლებელი იქნეს გასაუმჯობესებელი მხარეებზე დროული რეაგირება. დ

50.2. ერთობლივი პროგრამის აკადემიური საბჭო აანალიზებს წარმოდგენილ რეკომენდაციებს გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრისა და საგანმანათლებლო პროგრამის შემდგომ დახვეწასთან დაკავშირებით და ატარებს შესაბამის რეაგირებას გამოვლენილი ხარვეზებისა და შემუშავებული რეკომენდაციების ხასიათიდან გამომდინარე.

თავი XII სტუდენტთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმები

მუხლი 51. რეგულირების სფერო და მიზნები

51.1 ეს წესი ადგენს ერთობლივ სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხულ სტუდენტთა უფლებებისა და მათი დაცვის სამართლებრივ მექანიზმებს.

მუხლი 52. სტუდენტის უფლებები

52.1 ყველა ის პირი, რომელიც „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით და სხვა მარეგულირებელი აქტებით განსაზღვრული წესით ჩაირიცხა და სწავლობს ერთობლივ სამაგისტრო პროგრამაზე, სარგებლობს სტუდენტის სტატუსით.

52.2 ყველა სტუდენტი თანასწორია საქართველოს კანონმდებლობისა და საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული ნორმებისა და პრინციპების წინაშე. დაუშვებელია სტუდენტის რაიმე ფორმით დისკრიმინაცია.

52.3 სტუდენტს უფლება აქვს:

52.3.1 მიიღოს ხარისხიანი განათლება;

52.3.2 მონაწილეობა მიიღოს მეცნიერულ კვლევაში;

52.3.3 პარტნიორი უსდ-ების რეგულაციებით დადგენილი წესით თანაბარ პირობებში ისარგებლოს ამავე უსდ-ების მატერიალურ-ტექნიკური, საბიბლიოთეკო, საინფორმაციო, საკონსულტაციო, მხარდამჭერი სერვისებით და სხვა საშუალებებით, ყველა იმ უფლებით რაც გათვალისწინებული აქვს თითოეულ პარტნიორ უსდ-ს საკუთარი სტუდენტებისთვის ცალ-ცალკე;

52.3.4 თავისუფლად გამოხატოს საკუთარი აზრი და დასაბუთებული უარი თქვას იმ იდეათა გაზიარებაზე, რომელსაც სთავაზობენ სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას;

52.3.5 საქართველოს კანონმდებლობითა და პარტნიორი უსდ-ების რეგულაციებით განსაზღვრული წესით გადავიდეს სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში;

52.3.6 საქართველოს კანონმდებლობისა და პარტნიორი უსდ-ების წესდებისა და საერთო საუნივერსიტეტო მარეგულირებელი აქტების შესაბამისად სახელმწიფოსგან, ან სხვა წყაროებიდან მიიღოს სტიპენდია, ფინანსური ან მატერიალური დახმარება, სხვა სახის შეღავათები;

52.3.7 ინიცირება მოახდინოს ან/და მონაწილეობა მიიღოს ინდივიდუალური საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებაში უნივერსიტეტის რეგულაციების შესაბამისად;

52.3.8 მონაწილეობა მიიღოს აკადემიური პერსონალის, მოწვეული ლექტორებისა და ერთობლივი სამაგისტრო პროგრამის ადმინისტრაციის მუშაობის ეფექტიანობის შეფასებაში;

52.3.9 უზრუნველყოფილი იყოს პარტნიორი უსდ-ების მიერ მისი ცოდნის სამართლიანი შეფასებით, დადგენილი პროცედურების შესაბამისად;

52.3.10 საჭიროების შემთხვევაში, ისარგებლოს შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამაზე საგნიდან ამოწერის ან/და სადიპლომო ნაშრომის დაცვის მომდევნო აკადემიური წლისთვის გადატანის უფლებით;

52.3.11 სასამართლოში გაასაჩივროს პარტნიორი უსდ-ების მიერ მის მიმართ მიღებული გადაწყვეტილება;

52.3.12 განახორციელოს ამ წესით, პარტნიორის უსდ-ების სხვა შიდა რეგულაციებითა და საქართველოს კანონმდებლობით მისთვის მინიჭებული სხვა უფლებამოსილება.

52.4 სტუდენტის მიერ აკადემიური პერსონალის თანდასწრებით გამოთქმული პირადი ინფორმაცია, ასევე ინფორმაცია საკუთარი შეხედულებების, რწმენისა და პოლიტიკური მრწამსის შესახებ, რომელიც ამ უკანასკნელისთვის ცნობილი გახდა სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას, აგრეთვე ინფორმაცია სტუდენტის მიმართ დისციპლინური ღონისძიების გატარების შესახებ კონფიდენციალურია, გარდა იმ შემთხვევისა, თუ არსებობს სტუდენტის ნებართვა, ან ადმინისტრაციის კანონიერი ინტერესი დაიცვას სხვისი უსაფრთხოება და კანონით დაცული უფლებები.

52.5 პარტნიორ უსდ-ებს ეკრძალებათ საკუთარი უფლებამოსილებისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის იმგვარად გამოყენება, რამაც შეიძლება შექმნას ცენზურის დაწესების საფრთხე ან შეზღუდოს გამოხატვის თავისუფლება, გარდა კანონმდებლობით განსაზღვრული შემთხვევებისა.

მუხლი 53. სტუდენტის უფლებები დისციპლინური საქმისწარმოებისას

53.1. სტუდენტის მიმართ დისციპლინური წარმოება უნდა იყოს დისციპლინური გადაცდომის პროპორციული და შეიძლება განხორციელდეს ერთობლივი სამაგისტრო პროგრამის ეთიკისა და ქცევის კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებში, კანონმდებლობით გათვალისწინებით და სამართლიანი პროცედურის გზით.

53.2. სტუდენტის მიმართ დისციპლინური წარმოების დაწყება არ უნდა ზღუდავდეს სტუდენტის უფლებას, მონაწილეობა მიიღოს სასწავლო პროცესში, გარდა იმ შემთხვევებისა, თუ ეს საფრთხეს უქმნის სხვისი უფლებების, ჯანმრთელობის, პარტნიორი უსდ-ების საკუთრებისა და უსაფრთხოების დაცვას.

53.3. დისციპლინური წარმოების განხორციელებისას სტუდენტს უფლება აქვს:

53.3.1 წერილობითი ფორმით მიიღოს დასაბუთებული გადაწყვეტილება მის მიმართ დისციპლინური წარმოების დაწყების შესახებ;

53.3.2 დაესწროს დისციპლინური წარმოების საკითხის განხილვას და ისარგებლოს დაცვის უფლებით;

53.3.3 მიაწოდოს პარტნიორი უსდ-ების შესაბამის ორგანოს თავის ხელთ არსებული ინფორმაცია და მტკიცებულებები;

53.3.4 მონაწილეობა მიიღოს პარტნიორი უსდ-ების შესაბამისი ორგანოს მიერ მოპოვებული მტკიცებულებების გამოკვლევაში;

53.3.5 მოითხოვოს, მის მიმართ დისციპლინური წარმოების საკითხი განხილულ იქნეს საჯარო სხდომაზე.

53.4. დისციპლინური წარმოების საკითხის განხილვისას მტკიცების ტვირთი აწევს ბრალდების მხარეს. დისციპლინური წარმოების განხორციელების შესახებ გადაწყვეტილება უნდა იყოს დასაბუთებული და

ემყარებოდეს საქართველოს კანონმდებლობით და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წესდებითა და შინაგანაწესით გათვალისწინებული წესით მოპოვებულ მტკიცებულებებს.

დანართი N1

სტუდენტის მიერ სასწავლო კურსისა და ლექტორის შეფასება

შენიშვნა: აღნიშნულ გამოკითხვას ატარებს ჯიპა-საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის და შპს პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემიის მიერ დაფუძნებული ხარისხის უზრუნველყოფის საბჭო. გამოკითხვის მიზანია სასწავლო პროცესის ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეების იდენტიფიცირება, გამოკითხვის შედეგები გამოყენებული იქნება სასწავლო პროცესის გასაუმჯობესებლად. კითხვარი შედგება სამი ბლოკისგან:

№ 1: სასწავლო კურსის შინაარსი და სასწავლო რესურსი;

№2: სასწავლო კურსის ხელმძღვანელის/ლექტორის საქმიანობის შეფასება;

№3:თვითშეფასება (ავტონომიურობა და პასუხისმგებლობა);

ანკეტაში წარმოდგენილ კითხვებს თან დართული აქვს სავარაუდო პასუხები. მიუთითეთ თქვენთვის ყველაზე მისაღები პასუხი 1-იდან 5-მდე ქულის მითითებით, სადაც 5 არის მაქსიმალური დადებითი შეფასება, ხოლო 1 - მინიმალური. ასევე, მნიშვნელოვანია, რომ სტუდენტს სურვილის შემთხვევაში, შესაძლებლობა აქვს გააკეთოს კომენტარი. ღია კითხვების შემთხვევაში, გთხოვთ მიუთითოთ თქვენი აზრი წერილობით. გამოკითხვის ფარგლებში ანონიმურობა სრულად უზრუნველყოფილია და შედეგები გამოიყენება მხოლოდ განზოგადებული სახით.

* სტუდენტის სქესი:

* საგანმანათლებლო პროგრამა:

* სემესტრი:

ბლოკი № 1 - სასწავლო კურსის შინაარსი და სასწავლო რესურსი

1. სილაბუსში მკაფიოდ არის გადმოცემული სასწავლო კურსის მიზნები და შინაარსი:

სრულიად არ ვეთანხმები	არ ვეთანხმები	ნაწილობრივ ვეთანხმები	ვეთანხმები	სრულიად ვეთანხმები
1	2	3	4	5

2. სასწავლო კურსის ლექციებისა და სემინარებისთვის, ასევე სილაბუსით გათვალისწინებული მასალის დასამუშავებლად და დავალებების მოსამზადებლად დათმობილი საათები ადეკვატურია:

სრულიად არ ვეთანხმები	არ ვეთანხმები	ნაწილობრივ ვეთანხმები	ვეთანხმები	სრულიად ვეთანხმები

1	2	3	4	5

3. შეფასების მეთოდები (საშინაო დავალება, ესსე, გამოკითხვა, პრეზენტაცია და სხვა.) შეესაბამებოდა სასწავლო კურსის შინაარს:

სრულიად არ ვეთანხმები	არ ვეთანხმები	ნაწილობრი 3 ვეთანხმები	ვეთანხმები	სრულიად ვეთანხმები
1	2	3	4	5

4. შუალედური და დასკვნითი გამოცდების თემატიკა შეესაბამებოდა სილაბუსში მითითებულ მასალას და წინასწარ მკაფიოდ განსაზღვრული შეფასების სისტემით ობიექტურად ფასდებოდა:

სრულიად არ ვეთანხმები	არ ვეთანხმები	ნაწილობრი 3 ვეთანხმები	ვეთანხმები	სრულიად ვეთანხმები
1	2	3	4	5

5. სილაბუსში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა ხელმისაწვდომი იყო მატერიალურად ანდა ელექტრონული სახით:

სრულიად არ ვეთანხმები	არ ვეთანხმები	ნაწილობრი 3 ვეთანხმები	ვეთანხმები	სრულიად ვეთანხმები
1	2	3	4	5

6. აღნიშნული კურსის შესწავლა პროგრამის ფარგლებში მნიშვნელოვანია, ის აძლევს სტუდენტის დარგში ახალ ცოდნასა და აუმჯობესებს მის უნარებს:

სრულიად არ ვეთანხმები	არ ვეთანხმები	ნაწილობრი 3 ვეთანხმები	ვეთანხმები	სრულიად ვეთანხმები
1	2	3	4	5

7. გთხოვთ, არსებობის შემთხვევაში მიუთითოთ გასაუმჯობესებელი მხარეები: _____

8. გთხოვთ, არსებობის შემთხვევაში მიუთითოთ ძლიერი მხარეები: _____

ბლოკი № 2 - სასწავლო კურსის ხელმძღვანელის/ლექტორის საქმიანობის შეფასება

1. ლექტორმა სემესტრის დასაწყისში დეტალურად გაგვაცნო სასწავლო კურსის მიზნები, მისი შინაარსი, სწავლის შედეგები და შეფასების სისტემა:

სრულიად არ ვეთანხმები	არ ვეთანხმები	ნაწილობრი 3 ვეთანხმები	ვეთანხმები	სრულიად ვეთანხმები
1	2	3	4	5

2. ლექტორი თანმიმდევრულად მიჰყვებოდა სილაბუსით გათვალისწინებულ საკითხებს, გასაგებად ხსნიდა მასალას, მოჰყავდა შესაბამისი მაგალითები და ქეისები:

სრულიად არ ვეთანხმები	არ ვეთანხმები	ნაწილობრი 3 ვეთანხმები	ვეთანხმები	სრულიად ვეთანხმები
1	2	3	4	5

3. ლექტორი დადგენილ ვადაში აცნობდა სტუდენტებს შეფასების შედეგებს

სრულიად არ ვეთანხმები	არ ვეთანხმები	ნაწილობრი 3 ვეთანხმები	ვეთანხმები	სრულიად ვეთანხმები
1	2	3	4	5

4. ლექტორი საჭიროების შემთხვევაში ინდივიდუალურად განუმარტავდა სტუდენტს დავალებებსა და გამოცდებში გამოვლენილ გასაუმჯობესებელ მხარეებს:

სრულიად არ ვეთანხმები	არ ვეთანხმები	ნაწილობრი 3 ვეთანხმები	ვეთანხმები	სრულიად ვეთანხმები
1	2	3	4	5

5. ლექტორი იყენებდა სწავლების მრავალფეროვან მეთოდებს (დისკუსია/დებატები, შემთხვევების შესწავლა (Case study), გონებრივი იერიში (Brain storming) და სხვა.):

სრულიად არ ვეთანხმები	არ ვეთანხმები	ნაწილობრი 3 ვეთანხმები	ვეთანხმები	სრულიად ვეთანხმები
1	2	3	4	5

6. ლექტორი შესაძლებლობას აძლევდა სტუდენტებს გამოევლინათ თავიანთი ცოდნა და უნარები, აუდიტორიაში ქმნიდა სტუდენტის ინტერესებზე ორიენტირებულ სასწავლო გარემოს:

სრულიად არ ვეთანხმები	არ ვეთანხმები	ნაწილობრი 3 ვეთანხმები	ვეთანხმები	სრულიად ვეთანხმები
1	2	3	4	5

7. ლექტორი უყურადღებოდ არ ტოვებდა სტუდენტების მიერ დასმულ შეკითხვებს და მზად იყო საჭიროების შემთხვევაში, სტუდენტებს დამატებითი კონსულტაცია გაეწია:

სრულიად არ ვეთანხმები	არ ვეთანხმები	ნაწილობრი 3 ვეთანხმები	ვეთანხმები	სრულიად ვეთანხმები
1	2	3	4	5

8. ლექტორი სტუდენტებთან ურთიერთობისას გამოხატავდა პატივისცემას და იცავდა აკადემიური ეთიკის ნორმებს:

სრულიად არ ვეთანხმები	არ ვეთანხმები	ნაწილობრი 3 ვეთანხმები	ვეთანხმები	სრულიად ვეთანხმები
1	2	3	4	5

9. გთხოვთ, სურვილის შემთხვევაში, გამოხატოთ თქვენი მოსაზრება ზოგადად სასწავლო კურსთან და ლექტორთან დაკავშირებით, არსებობის შემთხვევაში დააფიქსირეთ ძლიერი და სუსტი მხარეები. ფიქრობთ თუ არა, რომ სასწავლო კურსი საჭიროებს ცვლილებებს? (დადებითი პასუხის შემთხვევაში რას შეცვლიდით?) _____

ბლოკი № 3 თვითშეფასება (ავტონომიურობა და პასუხისმგებლობა)

1. ყოველთვის ვასრულებდი სასწავლო კურსით გათვალისწინებულ დავალებებს და სისტემატურად ვემზადებოდი სემინარებისა და გამოცდებისთვის:

სრულიად არ ვეთანხმები	არ ვეთანხმები	ნაწილობრი 3 ვეთანხმები	ვეთანხმები	სრულიად ვეთანხმები
1	2	3	4	5

2. სალექციო/სასემინარო პროცესში აქტიურად ვიყავი ჩართული, ვაფიქსირებდი საკუთარ აზრს და პატივს ვცემდი განსხვავებულ შეხედულებებს:

სრულიად არ ვეთანხმები	არ ვეთანხმები	ნაწილობრი 3 ვეთანხმები	ვეთანხმები	სრულიად ვეთანხმები
1	2	3	4	5

3. კურსის გავლის შემდეგ შემიძლია აღნიშნულ სფეროში დამატებითი ცოდნის დამოუკიდებლად მიღება, პრეზენტაციის/ანალიტიკური დოკუმენტის/პრაქტიკული სამუშაოს მომზადება/შესრულება ანდა თემის ირგვლივ დისკუსიაში მონაწილეობა:

სრულიად არ ვეთანხმები	არ ვეთანხმები	ნაწილობრი 3 ვეთანხმები	ვეთანხმები	სრულიად ვეთანხმები
1	2	3	4	5

4. საბოლოო ჯამში კმაყოფილი ვარ გავლილი სასწავლო კურსით. ვფიქრობ, მივაღწიე სილაბუსით განსაზღვრულ სწავლის შედეგებს:

სრულიად არ ვეთანხმები	არ ვეთანხმები	ნაწილობრი 3 ვეთანხმები	ვეთანხმები	სრულიად ვეთანხმები
1	2	3	4	5

5.

დამატებითი კომენტარი:	

დანართი N2

დიპლომანტის მიერ ნაშრომის ხელმძღვანელის შეფასება

შენიშვნა: აღნიშნულ გამოკითხვას ატარებს ჯიპა-საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის და შპს პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემიის მიერ დაფუძნებული ხარისხის უზრუნველყოფის საბჭო. გამოკითხვის მიზანია სწავლების ხარისხის გაუმჯობესება. ანკეტაში წარმოდგენილ კითხვებს თან დართული აქვს სავარაუდო პასუხები. მიუთითეთ თქვენთვის ყველაზე მისაღები პასუხი 1-იდან 5-მდე ქულის მითითებით, სადაც 5 არის მაქსიმალური დადებითი შეფასება, ხოლო 1 - მინიმალური. ასევე, მნიშვნელოვანია, სტუდენტს სურვილის შემთხვევაში, შესაძლებლობა აქვს გააკეთოს კომენტარი. ღია კითხვების შემთხვევაში, გთხოვთ მიუთითოთ თქვენი აზრი წერილობით. გამოკითხვის ფარგლებში ანონიმურობა სრულად უზრუნველყოფილია და შედეგები გამოიყენება მხოლოდ განზოგადებული სახით.

* საგანმანათლებლო პროგრამა:

* ნაშრომის ხელმძღვანელი:

1. საკვლევ თემაზე მუშაობის დაწყებამდე ნაშრომის ხელმძღვანელისგან მივიღე სათანადო კონსულტაცია თემატური ფოკუსისა და თემის აქტუალურობასთან დაკავშირებით:

სრულიად არ ვეთანხმები	არ ვეთანხმები	ნაწილობრივ ვეთანხმები	ვეთანხმები	სრულიად ვეთანხმები
1	2	3	4	5

2. ნაშრომზე მუშაობის დაწყებამდე ხელმძღვანელმა დამატებით განმიმარტა ძირითადი აკადემიური მოთხოვნები კვლევისა და ნაშრომის მომზადების შესახებ:

სრულიად არ ვეთანხმები	არ ვეთანხმები	ნაწილობრივ ვეთანხმები	ვეთანხმები	სრულიად ვეთანხმები

1	2	3	4	5

3. ნაშრომზე მუშაობის დაწყებისას ხელმძღვანელისგან მივიღე სათანადო კონსულტაცია კვლევის გეგმისა და დიზაინის მომზადებასთან დაკავშირებით:

სრულიად არ ვეთანხმები	არ ვეთანხმები	ნაწილობრივ ვეთანხმები	ვეთანხმები	სრულიად ვეთანხმები
1	2	3	4	5

4. ნაშრომის ხელმძღვანელი მიწევდა რეგულარულ კონსულტაციებს როგორც პირისპირ, ისე ელექტრონული ფოსტის (ან სხვა საკომუნიკაციო ტექნოლოგიების) გამოყენებით:

სრულიად არ ვეთანხმები	არ ვეთანხმები	ნაწილობრივ ვეთანხმები	ვეთანხმები	სრულიად ვეთანხმები
1	2	3	4	5

5. ნაშრომის ხელმძღვანელისგან მივიღე სათანადო კონსულტაცია კვლევის მეთოდოლოგიის ჩამოყალიბებისა და მონაცემთა შეგროვების პროცესში:

სრულიად არ ვეთანხმები	არ ვეთანხმები	ნაწილობრივ ვეთანხმები	ვეთანხმები	სრულიად ვეთანხმები
1	2	3	4	5

6. ხელმძღვანელისგან მივიღე სათანადო დახმარება რესპონდენტების (ექსპერტები, ანალიტიკოსები და სხვ.) იდენტიფიცირებასა და მოძიებასთან დაკავშირებით:

(იმ შემთხვევაში თუ თქვენს მიერ შერჩეული კვლევის მეთოდოლოგია არ ითვალისწინებდა თვისებრივი კვლევის ფარგლებში სიღრმისეული ინტერვიუებისა და ექსპერტთა გამოკითხვის ჩატარებას გთხოვთ აღნიშნული კითხვა გამოტოვოთ.)

(არასავალდებულო შეკითხვა)

სრულიად არ ვეთანხმები	არ ვეთანხმები	ნაწილობრივ ვეთანხმები	ვეთანხმები	სრულიად ვეთანხმები
1	2	3	4	5

7. ნაშრომის ხელმძღვანელის რჩევები და უკუკავშირი მეხმარებოდა კვლევის პროცესში წარმოქმნილი პრობლემების გადაჭრაში, საჭიროების შემთხვევაში მინიშნავდა დამატებით კონსულტაციებს:

სრულიად არ ვეთანხმები	არ ვეთანხმები	ნაწილობრივ ვეთანხმები	ვეთანხმები	სრულიად ვეთანხმები
1	2	3	4	5

8. ნაშრომის ხელმძღვანელი სისტემატურად ინტერესდებოდა კვლევის მიმდინარეობით და ახდენდა დაკვირვებას ნაშრომის შესრულების პროგრესზე:

სრულიად არ ვეთანხმები	არ ვეთანხმები	ნაწილობრივ ვეთანხმები	ვეთანხმები	სრულიად ვეთანხმები
1	2	3	4	5

9. ნაშრომის ხელმძღვანელმა მომაწოდა დამატებითი ინფორმაცია აკადემიური კეთილსინდისიერების სტანდარტებისა (მათ შორის, პლაგიატის შემთხვევის თავიდან არიდების შესახებ) და მათი დარღვევის (პლაგიატის) შემთხვევაში დაწესებული სანქციების შესახებ:

სრულიად არ ვეთანხმები	არ ვეთანხმები	ნაწილობრივ ვეთანხმები	ვეთანხმები	სრულიად ვეთანხმები
1	2	3	4	5

10. ნაშრომის ხელმძღვანელი მუშაობის პროცესში გამოხატავდა პატივისცემას და იცავდა აკადემიური ეთიკის ნორმებს:

სრულიად არ ვეთანხმები	არ ვეთანხმები	ნაწილობრივ ვეთანხმები	ვეთანხმები	სრულიად ვეთანხმები
1	2	3	4	5

11. ნაშრომის ხელმძღვანელი საჭიროების შემთხვევაში მიწევდა კონსულტაციას შესაბამისი ლიტერატურის და თანამედროვე სამეცნიერო რესურსების იდენტიფიცირებაში და მაძლევდა მიმართულებებს მათი მოძიებისათვის:

სრულიად არ ვეთანხმები	არ ვეთანხმები	ნაწილობრივ ვეთანხმები	ვეთანხმები	სრულიად ვეთანხმები
1	2	3	4	5

12. ნაშრომის ხელმძღვანელი გაეცნო დასრულებულ ნაშრომს და მივიღე შესაბამისი დასკვნითი უკუკავშირი:

სრულიად არ ვეთანხმები	არ ვეთანხმები	ნაწილობრივ ვეთანხმები	ვეთანხმები	სრულიად ვეთანხმები
1	2	3	4	5

13. ნაშრომის ხელმძღვანელმა გამაცნო ნაშრომის დაცვის პროცესში გასათვალისწინებელი გარემოებები და გამიწია სათანადო კონსულტაცია კვლევის პრეზენტაციასთან დაკავშირებით:

სრულიად არ ვეთანხმები	არ ვეთანხმები	ნაწილობრივ ვეთანხმები	ვეთანხმები	სრულიად ვეთანხმები
1	2	3	4	5

14. საერთო ჯამში, ნაშრომის ხელმძღვანელისგან მივიღე მაღალკვალიფიციური და ხარისხიანი კონსულტაცია და სათანადო დახმარება:

სრულიად არ	არ ვეთანხმები	ნაწილობრივ	ვეთანხმები	სრულიად

ვეთანხმები		ვეთანხმები		ვეთანხმები
1	2	3	4	5

15. გთხოვთ, სურვილის შემთხვევაში, გამოხატოთ თქვენი მოსაზრება ზოგადად სადიპლომო ნაშრომის მომზადებასთან და ნაშრომის ხელმძღვანელთან დაკავშირებით. გაქვთ თუ არა რაიმე სახის რჩევა/რეკომენდაცია ნაშრომის ხელმძღვანელთან (დადებითი პასუხის შემთხვევაში გთხოვთ გაგვიზიაროთ თქვენი რჩევა/რეკომენდაცია)

კომენტარი:	

დანართი N3

ფოკუს ჯგუფის სახელმძღვანელო კითხვარი / სადისკუსიო გეგმა <u>სტუდენტებისთვის</u>[1]

(შესაძლებელია ფოკუს ჯგუფის ფარგლებში დამატებით განხილულ იქნას სხვა მნიშვნელოვანი საკითხებიც)

- როგორ შეაფასებდით საგანმანათლებლო პროგრამას?

ა. რამდენად გაამართლა ან არ გაამართლა ის მოლოდინები, რაც გქონდათ საგანმანათლებლო პროგრამასთან მიმართებით? უარყოფითი პასუხის შემთხვევაში გთხოვთ, დაინტერესდეთ მიზეზით.

ბ. როგორ შეაფასებდით საგანმანათლებლო პროგრამის თანმიმდევრულობას, სავალდებულო და არჩევითი საგნების გადანაწილებას, რამდენად ლოგიკურად არის დაკავშირებული საგნები ერთმანეთთან და დაცული თუ არის დაშვების წინაპირობები.

გ. თქვენი დაკვირვებით ხომ არ ხდება საგნებს შორის თემატური გადაფარვა? ხომ არ ისწავლება ერთი და იგივე საკითხები სხვადასხვა საგანში ერთი და იმავე ლიტერატურით?

დ. თქვენი შეფასებით ხომ არ არის ისეთი საკითხები, თემატიკა ან საგნები, რაც დარგიდან გამომდინარე აქტუალურია, თუმცა საგანმანათლებლო პროგრამაში არ არის წარმოდგენილი და ისურვებდით დამატებით შესწავლას? ან პირიქით ხომ არ არის ისეთი საგნები, რომლებიც თქვენი შეფასებით არ არის აუცილებელი ისწავლებოდეს საგანმანათლებლო პროგრამაში?

ე. როგორ დაახასიათებდით სწავლების მეთოდებსა და შეფასების სამართლიანობას სასწავლო პროცესის განმავლობაში?

ვ. რამდენად კმაყოფილები ხართ ლექტორებით? შეგიძლიათ გაიხსენოთ რაიმე პრობლემა ლექტორთან მიმართებით? ან ინიციატივა/პროექტი, რომელიც ლექტორთან ერთად განახორციელეთ.

ზ. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში რამდენად გაიზარდეთ პროფესიულად (გთხოვთ შეაფასოთ პროგრესი), რამდენად არის საგნები ორიენტირებული თეორიული ცოდნის გადაცემასთან ერთად პრაქტიკული უნარების განვითარებაზე?

თ. საგანმანათლებლო პროგრამის რომელ დადებით და გასაუმჯობესებელ მხარეებს გამოყოფდით? და რა იქნება ზოგადად თქვენი რეკომენდაცია საგანმანათლებლო პროგრამის განვითარებასთან დაკავშირებით.

[1] შესაძლებელია ფოკუს ჯგუფის ფარგლებში დამატებით განხილულ იქნას სხვა მნიშვნელოვანი საკითხებიც.

დანართი N4

ფოკუს ჯგუფის სახელმძღვანელო კითხვარი / სადისკუსიო გეგმა კურსდამთავრებულთათვის[2]

(შესაძლებელია ფოკუს ჯგუფის ფარგლებში დამატებით განხილულ იქნას სხვა მნიშვნელოვანი საკითხებიც)

- **დასაქმება და კარიერული განვითარება**

ა. ხართ თუ არა პროფესიით დასაქმებული? უარყოფითი პასუხის შემთხვევაში: რა არის ის მიზეზი რის გამოც არ ხართ დასაქმებული?

ბ. რამდენად გაგიმარტივდათ საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ დასაქმება ან რა დაბრკოლებებს წააწყდით?

გ. რამდენად დაგეხმარათ პროგრამის ფარგლებში მიღებული თეორიული ცოდნა და გამომუშავებული პრაქტიკული უნარები დასაქმებაში? საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღებული კომპეტენციებიდან ყველაზე მეტად რა გამოგადგათ პროფესიულ საქმიანობაში?

დ. შეგიძლიათ თუ არა დაასახელოთ ისეთი კომპეტენცია, რომელიც ვერ მიიღეთ/განავითარეთ საკმარისად პროგრამის ფარგლებში სწავლისას, თუმცა დასაქმებისთვის მნიშვნელოვანი კომპეტენცია იქნებოდა? ურჩევდით თუ არა საგანმანათლებლო პროგრამას კონკრეტული საგნების დამატებას?

ე. თქვენი გამოცდილებით, რა იყო ყველაზე დიდი აცდენა (ასეთის არსებობის შემთხვევაში) თქვენს ცოდნას/უნარებს და დამსაქმებლის მოთხოვნებს შორის? გთხოვთ კონცენტრირდეთ შემდეგ მიმართულებებზე:

1. პროფესიული თვალსაზრისი
2. პრაქტიკული თვალსაზრისი
3. ცოდნის თვალსაზრისი

- **როგორ შეაფასებდით საგანმანათლებლო პროგრამას?**

ა. რამდენად გაამართლა ან არ გაამართლა ის მოლოდინები, რაც გქონდათ საგანმანათლებლო პროგრამასთან მიმართებით? უარყოფითი პასუხის შემთხვევაში გთხოვთ, დაინტერესდეთ მიზეზით.

[2] შესაძლებელია ფოკუს ჯგუფის ფარგლებში დამატებით განხილულ იქნას სხვა მნიშვნელოვანი საკითხებიც.

ბ. როგორ შეაფასებდით საგანმანათლებლო პროგრამის თანამიმდევრულობას, სავალდებულო და არჩევითი საგნების გადანაწილებას, რამდენად ლოგიკურად არის დაკავშირებული საგნები ერთმანეთთან და დაცული თუ არის დაშვების წინაპირობები.

გ. თქვენი დაკვირვებით ხომ არ ხდებოდა საგნებს შორის თემატური გადაფარვა? ხომ არ ისწავლებოდა ერთი და იგივე საკითხები სხვადასხვა საგანში ერთი და იმავე ლიტერატურით?

დ. თქვენი შეფასებით ხომ არ არის ისეთი საკითხები, თემატიკა ან საგნები, რაც დარგიდან გამომდინარე აქტუალურია, თუმცა საგანმანათლებლო პროგრამაში არ იყო წარმოდგენილი და ისურვებდით დამატებით შესწავლას? ან პირიქით ხომ არ არის ისეთი საგნები, რომლებიც თქვენი შეფასებით არ არის აუცილებელი ისწავლებოდეს საგანმანათლებლო პროგრამაში?

ე. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში რამდენად გაიზარდეთ პროფესიულად (გთხოვთ შეაფასოთ პროგრესი), რამდენად იყო საგნები ორიენტირებული თეორიული ცოდნის გადაცემასთან ერთად პრაქტიკული უნარების განვითარებაზე?

ვ. საგანმანათლებლო პროგრამის რომელ დადებით და გასაუმჯობესებელ მხარეებს გამოყოფდით? და რა იქნება ზოგადად თქვენი რეკომენდაცია საგანმანათლებლო პროგრამის განვითარებასთან დაკავშირებით.

დანართი N5

ფოკუს ჯგუფის სახელმძღვანელო კითხვარი / სადისკუსიო გეგმა <u>დამსაქმებლებისთვის</u>[3]

1. ორგანიზაციის პროფილი

რომელ ორგანიზაციას წარმოადგენთ; რა ტიპის/პროფილისაა ორგანიზაცია; როგორია ამ ორგანიზაციაში დასაქმებულთა რაოდენობრივი მაჩვენებელი;

2. როგორ შეაფასებდით საგანმანათლებლო პროგრამას?

ა. როგორ შეაფასებდით საგანმანათლებლო პროგრამის თანამიმდევრულობას, სავალდებულო და არჩევითი საგნების გადანაწილებას, რამდენად ლოგიკურად არის დაკავშირებული საგნები ერთმანეთთან და დაცული თუ არის დაშვების წინაპირობები.

ბ. თქვენი შეფასებით ხომ არ არის ისეთი საკითხები, თემატიკა ან საგნები, რაც <u>დარგიდან გამომდინარე აქტუალურია,</u> თუმცა საგანმანათლებლო პროგრამაში არ არის წარმოდგენილი (ან არ არის სრულად წარმოდგენილი) და ისურვებდით დამატებით შესწავლას? ან პირიქით, ხომ არ არის ისეთი საგნები, რომლებიც თქვენი შეფასებით არ არის აუცილებელი ისწავლებოდეს საგანმანათლებლო პროგრამაში?

გ. თქვენი შეფასებით ხომ არ არის ისეთი საკითხები, თემატიკა ან საგნები, რაც <u>შრომის ბაზრის მოთხოვნებიდან გამომდინარე აქტუალურია,</u> თუმცა საგანმანათლებლო პროგრამაში არ არის წარმოდგენილი და მიზანშეწონილია მისი დამატება პროგრამაში?

დ. საგანმანათლებლო პროგრამის რომელ დადებით და გასაუმჯობესებელ მხარეებს გამოყოფდით? და რა იქნება ზოგადად თქვენი რეკომენდაცია საგანმანათლებლო პროგრამის განვითარებასთან დაკავშირებით.

3. შრომის ბაზარზე არსებული მდგომარეობა

ა. რომელი საფეხურის კურსდამთავრებულს განიხილავდით თქვენს ორგანიზაციაში/კომპანიაში დასასაქმებლად?

ბ. აღნიშნული პროგრამის რამდენი კურსდამთავრებულია თქვენთან დასაქმებული; როგორია მათი მომზადების დონე; რა კომპეტენციებით არიან ისინი მოსულები თავდაპირველად სამსახურში; რა არის მათი მთავარი გამოწვევა;

გ. პროფესიული მომზადების თვალსაზრისით, რომელ ასპექტებს (ცოდნა და უნარები) გამოჰყოფდით, რომელთა გაუმჯობესებას საჭიროებენ თქვენთან დასაქმებული აღნიშნული საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულები? და რომელ დადებით ასპექტებს დაასახელებდით?

[3] შესაძლებელია ფოკუს ჯგუფის ფარგლებში დამატებით განხილულ იქნას სხვა მნიშვნელოვანი საკითხებიც.

დ. როგორია თქვენი საჭიროებები და მოთხოვნები კადრებთან დაკავშირებით? რა ცოდნა და უნარები უნდა ჰქონდეს აუცილებლად სამსახურეობრივი მოვალეობის შესასრულებლად თქვენთვის სასურველ კადრს?

ე. თქვენი ორგანიზაციისთვის ფასეული თანამშრომლის მოსამზადებლად რა მიმართულებით ისურვებდით საგანმანათლებლო პროგრამაში აქცენტების გაკეთებას?

ვ. რომელ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან თანამშრომლობთ და რაში გამოიხატება თქვენი თანამშრომლობა?

ზ. როგორ ხედავთ თქვენს როლს, როგორც პოტენციური დამსაქმებელი? როგორ წარმოგიდგენიათ უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებთან თანამშრომლობის მოდელი?

დანართი N6

სტუდენტის მიერ სასწავლო პრაქტიკის შეფასების კითხვარი

შენიშვნა: აღნიშნულ გამოკითხვას ატარებს ჯიპა-საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის და შპს პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემიის მიერ დაფუძნებული ხარისხის უზრუნველყოფის საბჭო. გამოკითხვის მიზანია სწავლების ხარისხის გაუმჯობესება. ანკეტაში წარმოდგენილ კითხვებს თან დართული აქვს სავარაუდო პასუხები. მიუთითეთ თქვენთვის ყველაზე მისაღები პასუხი 1-იდან 5-მდე ქულის მითითებით, სადაც 5 არის მაქსიმალური დადებითი შეფასება, ხოლო 1 - მინიმალური. ასევე, მნიშვნელოვანია, რომ სტუდენტს სურვილის შემთხვევაში, შესაძლებლობა აქვს გააკეთოს კომენტარი. ღია კითხვების შემთხვევაში, გთხოვთ მიუთითოთ თქვენი აზრი წერილობით. გამოკითხვის ფარგლებში ანონიმურობა სრულად უზრუნველყოფილია და შედეგები გამოიყენება მხოლოდ განზოგადებული სახით.

1. **პრაქტიკის ხელმძღვანელთან გქონდათ ინტენსიური კონსულტაციები და კომუნიკაცია პირადი შეხვედრების და e-Mail-ების მეშვეობით:**

სრულიად არ ვეთანხმები	არ ვეთანხმები	ნაწილობრივ ვეთანხმები	ვეთანხმები	სრულიად ვეთანხმები
1	2	3	4	5

2. **პრაქტიკის ხელმძღვანელი მეთვალყურეობა თქვენს მიერ შესრულებულ საქმიანობას და შესაბამისი უკუკავშირს გაძლევდათ დროულად:**

სრულიად არ ვეთანხმები	არ ვეთანხმები	ნაწილობრივ ვეთანხმები	ვეთანხმები	სრულიად ვეთანხმები
1	2	3	4	5

3. პრაქტიკის ხელმძღვანელი გაძლევდათ სწორ მიმართულებებს თემატურად და მისი კომპეტენცია დამაკმაყოფილებელია პრაქტიკასთან მიმართებაში:

სრულიად არ ვეთანხმები	არ ვეთანხმები	ნაწილობრივ ვეთანხმები	ვეთანხმები	სრულიად ვეთანხმები
1	2	3	4	5

4. პრაქტიკის ხელმძღვანელს უნივერსიტეტიდან ჰქონდა ეფექტური კომუნიკაცია პრაქტიკის ხელმძღვანელთან სამუშაო ადგილზე:

სრულიად არ ვეთანხმები	არ ვეთანხმები	ნაწილობრივ ვეთანხმები	ვეთანხმები	სრულიად ვეთანხმები
1	2	3	4	5

5. პრაქტიკა შეესაბამებოდა საგნამანათლებლო პროგრამითა და სასწავლო პრაქტიკის სილაბუსით გათვალისწინებულ მიზნებსა და სწავლის შედეგებს:

სრულიად არ ვეთანხმები	არ ვეთანხმები	ნაწილობრივ ვეთანხმები	ვეთანხმები	სრულიად ვეთანხმები
1	2	3	4	5

6. სასწავლო პრაქტიკა ორიენტირებული იყო თეორიული ცოდნის პრაქტიკულ რეალიზებასა და ახალი პრაქტიკული უნარების გამომუშავებაზე:

სრულიად არ ვეთანხმები	არ ვეთანხმები	ნაწილობრივ ვეთანხმები	ვეთანხმები	სრულიად ვეთანხმები
1	2	3	4	5

7. გთხოვთ, სურვილის შემთხვევაში, დააფიქსიროთ თქვენი მოსაზრება სასწავლო პრაქტიკის ძლიერ და გასაუმჯობესებელ მხარეებთან დაკავშირებით:

კომენტარი:	